პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი
28
აგვისტო
1937 წ.
№ 196 (4997)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

— სასოფლო საბჭოს საპასუხისმგებლო ამოცანები („პრავდის" 27/VIII მოწინავე)
— მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი.
— ვ. გოგოშვილი პარტიაში მიღების შესახებ (ფელეტონი, გაგრძელება).
— თვითმფრინავ „ნ—209"-ის ძებნა
— ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში
— ხალხის მტრები სასამართლოს წინაშე უცხოეთში
— შანხაის გმირული დაცვა
— ნანკინის ბომბარდირება
— გერმანია მხარს უჭერს იაპონიას ჩინეთის წინააღმდეგ
— იაპონიის გეგმები შიდა მონღოლეთში
— ესპანეთის ფრონტებზე
— ინგლისის პროტესტი ფრანკოს წინააღმდეგ.

სასოფლო საბჭოს საპასუხისმგებლო ამოცანები

სსრ კავშირის ცაკის IV სესიაზე აღნიშნული იყო სასოფლო საბჭოების მუშაობის უდიდესი ხარვეზები. ბევრი სასოფლო საბჭო გადაიქცა ფულადი და ნატურალური გადასახადების ამკრეფად, მუშაობის ყველა დანარჩენი დარგი კი მათ მიივიწყეს. ამით არარად იქცეოდა საბჭოების როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელების როლი. საბჭოები შეადგენენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს ძალიან ხშირად ივიწყებენ ადგილობრივი დიდი და პატარა ხელმძღვანელები. და ეს სინამდვილეში იწვევს იმას, რომ აქა-იქ იწყებენ საბჭოები განიხილონ როგორც ერთერთი მშრომელთა მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის, პროფკავშირებისა, კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის გვერდით. ასეთ შეხედულებებზე უფრო საზიანო არაფერია. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები — უწინარეს ყოვლისა არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან გაახორციელონ პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობა ქალაქად და სოფლად.

მთავრობის გადაწყვეტილებით სასოფლო საბჭოები 1 ივლისიდან განთავისუფლებული არიან ფულად გადასახადთა და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა გამოანგარიშებისა და აკრეფის მოვალეობისაგან და სავალდებულო ნატურჩაბარებათა აღრიცხვისა და გადახდევინების ვალდებულებათა ჩაბარებისაგან. სასოფლო საბჭოებს მიცემული აქვთ სრული შესაძლებლობა ფართოდ გაშალონ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი საქმიანობა მოსახლეობაში.

ორი თვე გავიდა, მაგრამ გარდაქმნაზე ლაპარაკს ბევრი სასოფლო საბჭო ჯერ კიდევ არ გასცილებია. ეს შეეხება, მაგალითად, კურსკის ოლქის, სტრელეცკის რაიონის ლებიაჟინსკის სასოფლო საბჭოს. რამდენი სიტყვა წარმოითქვა აქ გარდაქმნაზე, ამომრჩევლებისადმი ყურადღებაზე და სხვ. ხოლო როგორ გამოიყურება ყოველივე ეს სინამდვილეში? აი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი ფაქტი. სწარმოებს მოსავლის აღება. ბაქოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობას აუცილებლად ესაჭიროება სალეწი მანქანა. მეზობელი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 7 კილომეტრითაა დაშორებული კოლმეურნეობისაგან, მზად არის დაეხმაროს. მაგრამ... საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას შორის ჩადგა მდინარე სეიმი. ხიდი მდინარეზე ნახევრად დანგრეულია. სალეწი მანქანის მისატანად კოლმეურნეობაში საჭიროა 70 კილომეტრის შემოვლა!..

ლებიაჟინსკის სასოფლო საბჭოს კი ისე მოაქვს თავი, თითქოს ეს მას არ ეხება. მას არც ის ენაღვლება, თუ კლუბს ბოქლომი ადევს და კლუბის გამგე მუდამ მთვრალია, მას არ აწუხებს არც გაბინძურებული ჭები და არც ბევრი სხვა რამ.

ბევრმა სასოფლო საბჭომ დღესაც არ იცის კარგად, თუ რა უნდა აკეთოს. ამავე დროს კი სასოფლო საბჭოების წინაშე სდგას უდიდესი სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ამოცანები.

ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მინდვრებზე საუცხოო მოსავალი მზად არის ასაღებათ. კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მუშა-ქალთა შრომით მოვიდა მოსავალი, როგორიც დიდი ხანია არ ყოფილა. იგი უზრუნველჰყოფს სოციალიზმის მშენებლობის ახალ წარმატებებს ქალაქად და სოფლად, მას მოაქვს კოლმეურნეთა შეძლებულობის ახალი ზრდა. განა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანა, ვიდრე შესანიშნავი მოსავლის დროული, სრული და კეთილხარისხოვანი აღება? ბევრი სასოფლო საბჭო მოსავლის აღების ხელმძღვანელობისაგან განზე გადგა და ეს საქმე მთლიანად კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუთმო. ეს არ არის სწორი. საბჭოები — ეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, რომლებიც ვალდებული არიან უხელმძღვანელონ სამეურნეო ცხოვრებას თავის ტერიტორიაზე.

მტრის ოინები ამჟამად იქითკენ არის მიმართული, რომ შემცირდეს მაღალი მოსავლის შედეგები. დროა ვიცოდეთ, რომ უმოქმედო კომბაინი ან ცუდად შეკეთებული მანქანა ყოველთვის მხოლოდ ტექნიკური მოუწესრიგებლობის ან შემთხვევითი შეცდომების შედეგი როდია. უფრო ხშირად — ეს არის ჩვენი მტრების ოინების შედეგი. მოსავლის აღება, პურის დამზადებათა გეგმის შესრულება, პურის გატანა მტს-ების ნამუშევრის ანაზღაურების ანგარიშში. ავანსების გაცემა და საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება — ყოველივე ამის ხელმძღვანელობისაგან სასოფლო საბჭოები არავის გაუნთავისუფლებია.

სასოფლო საბჭოების ბევრი თავმჯდომარე მზად არის საათობით ილაპარაკოს თავის მთავარ ამოცანაზე — კულტურულ - მასობრივ მუშაობაზე სოფლად. შემოწმების დროს კი ირკვევა, რომ მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ მუშაობის შინაარსზე. ბევრს იგი წარმოდგენილი აქვს როგორც დაუსრულებელი კრებები და სხდომები უთვალავი მოხსენებებითა და სიტყვებით. ასეთი აზრი წარმოშობილია პრესის ზოგიერთი ორგანოების გადაჭარბებული ლაყბობით, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გაჰყვირიან კულტურულ - მასობრივ მუშაობაზე და მის შინაარსს კი არ ასახელებენ.

სოფლის კულტურული ზრდა დიდია. კოლმეურნეთა და კოლმეურნექალთა კულტურული მოთხოვნები სავსებით კონკრეტულია. ისინი გამორიცხავენ ყოველგვარ ფუჭ ლაყბობას კულტურულ - მასობრივ მუშაობაზე საერთოდ. კოლმეურნეებს და კოლმეურნე-ქალებს სურთ ჰქონდეთ კარგი ქოხ-სამკითხველო ან საკოლმეურნეო კლუბი. ისინი მოითხოვენ კარგ სკოლას, სადაც მათი შვილები ისწავლიან. ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რათა სამედიცინო მომსახურება ჯეროვნად მოგვარდეს, რათა გაზეთებს, ჟურნალებსა და წიგნებს დროზე ღებულობდნენ, რათა რადიო და კინო ემსახურებოდეს მათს კულტურულ და პოლიტიკურ ზრდას, რათა კოოპერაციის მაღაზიებში იყოს ნაირნაირი საქონელი.

შეიძლება კიდევ ათობით ჩამოვთვალოთ ასეთი მოთხოვნები და სურვილები. მათი განხორციელება შეადგენს სწორედ კულტურულ-მასობრივი მუშაობის ამოცანას, რისთვისაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო საბჭოს.

ჩვენი ქვეყანა უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ იმყოფება. კონსტიტუციის პროპაგანდა, ახალი საარჩევნო კანონის პროპაგანდა სასოფლო საბჭოს მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად უნდა გახდეს. უკანასკნელ დროს გამოვლინებულია სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებისა და რევოლუციური კანონიერების უაღრესად უხეში დარღვევათა მრავალრიცხოვანი ფაქტები. უწინარეს ყოვლისა საბჭოები აგებენ პასუხს ამისათვის. როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ისინი ვალდებული არიან იბრძოლონ საბჭოთა კანონების უსასტიკესი დაცვისათვის, თვითეული მოქალაქის მიერ კანონის ცოდნისათვის, — ეს არის განუყოფელი ნაწილი საბჭოს მთელი პოლიტიკური მუშაობისა სოფლად.

სასოფლო საბჭოები მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, თუ ისინი მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული თავის ამომრჩევლებთან, თუ ისინი კარგად გაიცნობენ თვითეულ ამომრჩეველს. ლაპარაკია არა სალამით ნაცნობობაზე, არამედ ამომრჩევლების საჭიროებათა, მოთხოვნათა და სურვილთა ნამდვილ ცოდნაზე. იქ, სადაც სასოფლო საბჭოს ავტორიტეტი აქვს, კოლმეურნე და კოლმეურნე - ქალი ხალისით მიდიან სასოფლო საბჭოში თავისი გასაჭირითა და წინადადებებით.

კურგანსკის რაიონის სტანიცა როდნიკოვის საბჭოს ტერიტორიაზე შემჩნეული იყო მასობრივი დაავადება მალარიით. სტანიცის საბჭოში გამოცხადდა კოლმეურნე სიმონ ზასიადკო და წინადადება შეიტანა მოესპოთ ჭაობი, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა ავადმყოფობის გავრცელების წყაროს. სტანიცის საბჭომ ამოაშრო მალარიის კერა. დაავადებამ მკვეთრად იკლო. იგივე კოლმეურნე კალაპოტიდან მდინარის გადმოსვლის დღეებში მივიდა სტანიცის საბჭოში და ასწავლა, თუ როგორ უნდა გადაეგდოთ წყალი. განახორციელეს რა მისი წინადადება, გადაარჩინეს საკოლმეურნეო ნათესის დიდი ნაწილი.

ეს არის მასების ნამდვილი შემოქმედებითი აქტიურობის ერთი უთვალავ მაგალითთაგანი, რომლებიც ხელს უწყობენ შეცდომებისა და მუშაობის ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უწყობენ მტრების მხილებას. თავის ამომრჩეველთა აქტიურობაზე დაყრდნობით, თვითეულ სასოფლო საბჭოს აქვს შესაძლებლობა უფრო მშვენიერი, მდიდარი, სასიხარულო გახადოს თავის ამომრჩეველთა ცხოვრება.

საბჭოს მუშაობაში მასების ჩასაბმელად შესანიშნავ აპარატს წარმოადგენენ საბჭოს სექციები. სამწუხაროდ, ისინი ძალიან ხშირად ცუდად მუშაობენ. ბევრი სექცია მხოლოდ ქაღალდზე ითვლება. დასავლეთის ოლქში შეიძლება შევხვდეთ სასოფლო საბჭოების ისეთ სექციებს, რომლებშიც მხოლოდ ერთი კაცია — სასოფლო საბჭოს გამოყოფილი წევრი. იგი „თვითონ არის თავისი სექცია". ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო საბჭოს მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ნამდვილად ჩაბმასთან. ეს ხდება იმიტომ, რომ სასოფლო საბჭოები ხშირად ქმნიან ათეულ და მეტ სექციებს, რის შემდეგ ავიწყდებათ მათი არსებობა. რა თქმა უნდა, უმჯობესია იყოს საბჭოს ნაკლები სექციები, მაგრამ სამაგიეროდ მართლაც კარგად მომუშავენი.

სასოფლო საბჭოებს ესაჭიროებათ სარაიონო, საოლქო და სამხარეო აღმასკომების დახმარება და საქმიანი ხელმძღვანელობა. ხალხის მტრები იმედს ამყარებდნენ საბჭოების მუშაობის ჩაშლაზე, მათ გადაქცევაზე მასებისაგან მოწყვეტილ ბიუროკრატიულ დაწესებულებებად. ხალხის მტრებს იმედი გაუცრუვდათ. მაშ, დაუღალავად ვაწყოთ და ვაუმჯობესოთ სასოფლო საბჭოების — სახელმწიფოს მართვის, დიდი საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი რგოლის მუშაობა.

„პრავდის" მოწინავე, 27/VIII

ომი ჩინეთში

შანხაის გმირული დაცვა

შანხაი, 25 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის ჯარები უკვე 12 დღეა გმირულად იცავენ შანხაის. ჩინეთის არმიამ, და განსაკუთრებით ავიაციამ, გვიჩვენა ბრძოლის მაღალუნარიანობა. ჩინეთის ჯარები გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ იაპონიის ცდებს გადმოსხან დესანტი. დღეისათვის მდგომარეობა ისეთია, რომ იაპონიის დამხმარე ძალების ნაწილმა მოასწრო გადასხმა ჩუნმინის კუნძულზე. უცხოეთის წრეების ცნობით, იაპონიის ჯარების ნაწილი გაგზავნა შანხაის სამხრეთით, ჩჟეძიანის პროვინციის სანაპიროზე გადასასხმელად. ჩინეთის შტაბის ცნობით, ჯერ კიდევ 23 აგვისტოს არტილერიის ცეცხლისა და საჰაერო ბომბარდირების დახმარებით იაპონიის ჯარებმა თავიანთი დესანტები გადასხეს უსუნის რაიონის 4 პუნქტში. დესანტი 600-ზე მეტი კაცის შემადგენლობით გადასხეს სიაოჩუანშის ახლოს და მან წინ წაიწია პატარა ქალაქ ლოდიანამდე. ახლა გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს ამ ქალაქის გარშემო. ქალაქში დიდი ხანძარია.

იაპონიის მეორე დესანტი 1.500-ზე მეტი კაცის შემადგენლობით გადასხეს სიძილინში. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დესანტი გაძევებული იქნა, მაგრამ შემდეგ იაპონიის 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი კვლავ გამოჩნდა ამ რაიონში. იაპონელების ცდა, რათა დაახლოებით 1000 კაცი გადაესხათ ვანცაობანში ერთი დღეღამის შემდეგ აღკვეთილი იქნა. 4 საათიანი ბრძოლის შემდეგ 3000-ზე მეტი იაპონელი გადასხეს ჩანხუაბანში.

როგორც დღეს იაპონიის პრესა იუწყება, იაპონიის ჯარის ნაწილებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ჩინეთის ჯარის ნაწილები შანხაის ფრონტზე. ამ ცნობების მიხედვით, ჩინეთის ჯარების სარდლობამ უკვე გადაისროლა საგრძნობი დამხმარე ძალები შანხაის ფრონტის საშიშ სექტორში. 24 აგვისტოს იაპონიის დესანტმა დაიწყო იერიში ჩინეთის მუნიციპალიტეტის მიმართულებით. იერიში მოგერიებულ იქნა. იაპონიის ჯარებმა მაინც მოასწრეს გამაგრება ამ მიმართულებით. უცხოელ წრეებიდან მიღებული ცნობებით, დესანტი ათასზე მეტი კაცის შემადგენლობით გადმოსხეს ზღვიდან, პუტუნის აღმოსავლეთ მხრიდან, 20 კილომეტრზე შანხაის აღმოსავლეთით.

ჩაპეისა და ხონკიუს რაიონების ფრონტებზე დიდი ცვლილება არ მომხდარა. ხონკიუს რაიონის რამდენიმე ადგილას კვლავ ხანძარია. ჩინეთის თვითმფრინავებმა დღეს ყუმბარები დაუშინეს იაპონიის პოზიციებს იმ რაიონებში, სადაც იაპონიის ჯარები იქნენ გადასხმული.

ტოკიო, 26 აგვისტო (საქდესი). იაპონიის გაზეთები იუწყებიან, რომ შანხაის ფრონტზე ბრძოლების სიმძიმის ცენტრი გადატანილია იმ სექტორებში, რომლებიც უჭირავს იაპონიის დესანტს ლოძენის რაიონში (შანხაის ჩრდილოეთით). დომეი ცუსინის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ 25 აგვისტოს იაპონიის საზღვაო და საჰაერო ძალების მიერ ბომბარდირებით სავსებით მოსპობილია ჩინეთის ჯარების ყველა სტრატეგიული პოზიცია ლოძენის რაიონში. საზღვაო სამინისტროს კომუნიკე ამტკიცებს, რომ 25 აგვისტოს შანხაიზე ჩამოგდებულ იქნა ჩინეთის 3 თვითმფრინავი.

ნანკინის ბომბარდირება

ტოკიო, 25 აგვისტო (საქდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ 24 აგვისტოს იაპონიის საზღვაო ავიაციამ მერვეჯერ დაუშინა ყუმბარები ნანკინს.

იაპონიის გეგმები შიდა მონღოლეთში

ლონდონი, 26 აგვისტო (ტელეფონით „იზვესტიის" საკ. კორესპონდენტისაგან). (საქდესი). იაპონიის წყაროები ამტკიცებენ, რომ იაპონელებს შეუერთდა შიდა მონღოლეთის 20 ათასი ჯარი. დღეს საღამოს ლონდონს მიღებულ ცნობაში აღნიშნულია: იაპონელები აცხადებენ, რომ მათ განზრახული აქვთ მხარი დაუჭირონ ამ მოძრაობას შიდა მონღოლეთში და შექმნან იქ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც დაერქმევა „მონგუგო".

გერმანია მხარს უჭერს იაპონიას ჩინეთის წინააღმდეგ ომში

ტოკიო, 25 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „ასახი" სწერს, რომ „გერმანია-იაპონიის შეთანხმების სულისკვეთების სრულ შესაბამისად გერმანიის ოფიციალურმა წრეებმა კატეგორიულად უარი განაცხადეს წინანდელ ნეიტრალიტეტზე ჩინეთის კონფლიქტში და სავსებით უჭერს მხარს იაპონიის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ. გერმანიის ოფიციალურ წრეებს, სწერს შემდეგ „ასახი", „მშვენივრად ესმით, რომ იაპონიის განზრახვა თავის კონტროლს დაუმორჩილოს მანჯოუ-გოს მოსაზღვრე ჩრდილო ჩინეთის პროვინციები, ნაკარნახევია სურვილით დაცულ იქნას მანჯოუ-გო ბოლშევიზმის შესაძლებელი შემოსევისაგან".

იაპონიის პოლიტიკას, აღნიშნავენ გერმანიის ოფიციალური წრეები, საბოლოო მიზნად აქვს დასახული „ჩინეთის თანამშრომლობის უზრუნველყოფა იაპონიის ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ".

დომეი ცუსინის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: „იაპონიის წრეები ბერლინში უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ გერმანიის მთელმა პრესამ ჩინეთის კონფლიქტში იაპონიის პოზიციის სრული გაგება გამოიჩინა".

ინგლისის ელჩის დაჭრა ჩინეთში

ლონდონი, 26 აგვისტო (საქდესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის შანხაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ინგლისის ელჩს ჩინეთში ჰიუჯესენს, როდესაც იგი ნანკინიდან ავტომობილით შანხაიში მიდიოდა, ტყვიამფრქვევი დაუშინა იაპონიის თვითმფრინავ - ყუმბარმტყორცნმა, რომელმაც აგრეთვე ყუმბარებიც გადმოჰყარა.

ჰიუჯესენი მუცელში დაიჭრა.

რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰიუჯესენი სერიოზულად არის დაჭრილი და მოთავსებულია შანხაის საავადმყოფოში. ჰიუჯესენთან ერთად ავტომობილში იჯდა ინგლისის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ლოვატ ფრეიზერი.

ლონდონი, 26 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ იაპონიის მფრინავებმა დასჭრეს ინგლისის ელჩი ჩინეთში. ამის გამო იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენელმა შანხაიში ინახულა ბრიტანეთის კონსულის მოვალეობის შემსრულებელი და მწუხარება გამოსთქვა მომხდარი შემთხვევის გამო, რაც ლონდონში დადებით ფაქტად მიაჩნიათ".



საომარი მოქმედებანი ჩრდილოეთ ჩინეთში. სურათზე: ჩინელთა სატყვიამფრქვევო პოსტი ხანკოუში. „სოიუზფოტო".

საბჭოთა კავშირში

ამხ. მ. ფ. ბოლდირევმა მიიღო ბ-ნი რუკარი

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. მ. ფ. ბოლდირევმა 26 აგვისტოს მიიღო საფრანგეთის ჯანმრთელობის მინისტრი ბ-ნი მარკ რუკარი, რომელიც მოსკოვში იმყოფება. მიღებას დაესწრნენ სახკომის მოადგილე პროფ. ნ. ი. პროპერ-გრაშჩენკოვი, უცხოეთის სანიტარული ინფორმაციის საერთო-საკავშირო ბიუროს დირექტორი პროფ. ვ. მ. ბრონერი, სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები.

საუბარში შეეხნენ საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურის საკითხებს, უფასო სამედიცინო და საკურორტო დახმარების ორგანიზაციას, სამედიცინო განათლებასა და სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას.

საუბრის დასასრულს ბ-ნმა რუკარმა გამოსთქვა იმედი, რომ სამეცნიერო კავშირი სსრ კ-სა და საფრანგეთის მედიცინის მოღვაწეებს შორის შემდეგშიც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა სასარგებლოდ. (საქდესი).

ტაქტიკური ვარჯიშობა შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის ნაწილებში

ხაბაროვსკი, 26 აგვისტო (საქდესი). შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის ნაწილებში დაიწყო ტაქტიკური ვარჯიშობა.

საინტერესო ეპიზოდებით არის აღსავსე ვარჯიშობა №-ის რაიონში. „წითლებიც" და „ლურჯებიც" დიდ მოქნილობას, მანევრირებას გვიჩვენებენ. 24 აგვისტოს „წითლებს" მოუხდათ ძალიან მთაგორიანი და ტყიანი ადგილის გადასვლა ღამით. გადასვლა კარგად ჩატარდა. მეომრები განსაკუთრებული აღფრთოვანებით ასრულებენ საბრძოლო ამოცანას.

რკინის კედლად არის აღმართული შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმია სოციალიზმის ქვეყნის საზღვრების სადარაჯოზე, გვიჩვენებს რა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის —დიდი სსრ კავშირის განუყრელი ნაწილის ურყევ ძლიერებას.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა.

26 აგვისტოს საღამოს მოსკოვში ჩამოვიდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. სამიი, რომელიც საბჭოთა კავშირის გზით ჟენევას მიემგზავრება. კურსკის ვაგზალზე მინისტრს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი და სხვები.

მინისტრი რამდენიმე დღეს დარჩება მოსკოვში. (საქდესი).

ნორვეგიის მთავრობის მადლობა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ნორვეგიის მისიისაგან მოსკოვში მიიღო ნოტა, რომელშიც „მთავრობის დავალებით, ნორვეგიის მისია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და მურმანსკის ოლქის ხელისუფლების ორგანოებს უცხადებს ნორვეგიის მთავრობის გულწრფელ მადლობას იმ დიდი დახმარებისათვის, რაც მათ გაუწიეს ნორვეგიის გემ „ვესტერისს", რომელმაც ავარია განიცადა მიმდინარე წლის მარტში, და იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც მის ეკიპაჟს გაუმართეს. (საქდესი).

თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი) თვითმფრინავ „ნ-209"-დან მიღებული უკანასკნელი რადიოგრამის დღიდან გავიდა ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში მოსკოვ — ჩრდილო ამერიკის მარშრუტით გადაფრენათა მომწყობმა მთავრობის კომისიამ ჩაატარა დიდი მუშაობა დასახსნელ საშუალებათა მობილიზაციისათვის.

ძირითად რაზმს შეადგენს ამხ. შეველიოვის ექსპედიცია ოთხი დიდი თვითმფრინავ „ანტ-6"-ის შემადგენლობით.

სამი მათგანი — „ნ-170" საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვოდოპიანოვისა „ნ-171" საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მოლოკოვისა და „ნ-172" საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ალექსეევისა ჩაფრინდნენ ამდერმაში და პირველი ამინდისთანავე გაფრინდებიან რუდოლფის კუნძულზე. საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მაზურუკი და მფრინავი ამხ. კოზლოვი მზად არიან გაფრინდნენ მეოთხე თვითმფრინავ „ანტ-6"-ით. ისინი რუდოლფის კუნძულზე მოელიან საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიციას.

საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. გოლოვინი და სლეპნოვი მფრინავი ნავით „ნ-206"-ით ჩაფრინდნენ სოფელ სამაროვში ობისთან. მათი თვითმფრინავი ჯერ დანიშნულია სამარაგო თვითმფრინავად. მფრინავი ამხ. გრაციანსკი მფრინავი ნავით „ნ-207"-ით კოჟევნიკოვის ბუხტიდან ნორდვიკის მახლობლად, უკანასკნელი ცნობებით, გაფრინდა მდინარე ოლენეკში, სადაც მას სხვა თვითმფრინავებით ჩაუტანეს საწვავი მასალა.

ყინულისმჭრელ „კრასინზე", რომელიც ალიასკაში ჩავიდა ჩუკოტის ნახევარკუნძულის ნაპირებიდან, იმყოფება მფრინავთა რაზმი მფრინავი ამხ. კამინსკის მეთაურობით. „კრასინზე" იმყოფება ორი თვითმფრინავი „პ-5" და ორი დამხმარე „უ-2". წითელდროშოვანი ყინულისმჭრელი „კრასინი" 27 აგვისტოს მიუახლოვდა ბაროუს კონცხს, სადაც ახდენს ბენზინის გადმოტვირთვას.

მფრინავი ამხ. ზადკოვი ჰიდრო-თვითმფრინავ „სსრ ნ-2"-ით დაეშვა 300 მილზე ბაროუს კონცხის აღმოსავლეთით და მოელის უფრო ხელსაყრელ ამინდს. ცნობილმა ამერიკელმა პოლარულმა მფრინავმა და მკვლევარმა ვილკინსმა მფრინავი ნავის ტიპის თვითმფრინავ „სსრ ლ—2"-ით უკვე მოახდინა ორი სადაზვერვო გაფრენა. 25 აგვისტოს იგი მიფრინდა 82 გრადუსსა და 10 წუთამდე 145 მერიდიანით. მაგრამ, ღრუბლიანობამ ხელი შეუშალა მის მუშაობას და ძებნის საშუალება არ მისცა. ვილკინსი, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით დაბრუნდა კანადის კოპერმაინში. კანადელი პილოტი რუნდოლი ჩავიდა კანადის აკლავაკში.

მფრინავმა მატერნმა, რომელმაც განაცხადა ძებნაში მონაწილეობის სურვილი, მოახდინა ერთი გაფრენა 75 გრადუსის განედამდე და უარი განაცხადა შემდგომი გაფრენებისაგან.

ცუდმა ამინდმა საჰაერო ექსპედიცია შეაჩერა ამდერმაში

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს ცნობით, ახალი მიწისა და ფრანც იოსების მიწის რაიონში არახელსაყრელი ამინდის გამო, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიციამ გუშინ ვერ შესძლო თავისი გზის განგრძობა ჩრდილოეთისკენ.

გუშინდელი დღე ექსპედიციის მონაწილეებმა მოანდომეს მანქანების დათვალიერებას და მათში საწვავი მასალის ჩასხმას. ყველა თვითმფრინავი წესრიგშია. ექსპედიციის მონაწილენი დიდი ყურადღებით სარგებლობენ ამდერმის მოსახლეობაში. დაბის მოსახლენი ეკითხებიან მათ უკანასკნელ ამბებს.

როგორც კი ამინდის მხრივ საშუალება იქნება თვითმფრინავები „ნ—170", „ნ—171" და „ნ—172" მოახდენენ ძირსდაუშვებელ გადაფრენას რუდოლფის კუნძულზე. რუდოლფის კუნძულიდან მიღებული ცნობებით, იქ აეროდრომი მზად არის საჰაერო ხომალდების მისაღებად.

ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნელად

ფერბენქსი, 26 აგვისტო („პრავდის" სპეც. კორესპონდენტისაგან) (საქდესი). დილით ბაროუში თოვდა. დაახლოვებით შუადღისას საბჭოთა მფრინავი ზადკოვი ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა. 10 საათის განმავლობაში ანადირსა და ფერბენქსში არავითარი ცნობები არ მიუღიათ ზადკოვისაგან. ეს-ეს არის ვართანიანმა მიიღო რადიოგრამა აკლავიკიდან კანადელ მფრინავ რენდელისაგან, რომელიც დღეს ზადკოვის შემდეგ გაფრინდა ბაროუს კონცხიდან აღმოსავლეთისაკენ.

რენდელი იუწყება: „ჩაველი აკლავიკში. დაბალი ღრუბლიანობის გამო ვერ შევსძელი შორს წასვლა საძებნად მატერიკისაკენ. კარგ სათადარიგო ბაზას წარმოადგენს ბარტერის კუნძული ან მარტინ პოინტი. გზაში დავეშვი რუსეთის თვითმფრინავთან და მის ეკიპაჟს გადავეცი თქვენგან ორი რადიოგრამა, რომლებიც მიღებულია ბაროუს კონცხზე ზადკოვის გაფრენის შემდეგ. ეს თვითმფრინავი იმყოფება მდინარე კოგრუსთან, საქტურიას კუნძულთან. მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ. ელიან კარგ ამინდს".

ფერბენქსში სიეტლიდან მოფრინდა თვითმფრინავი — ამფიბია აკუმულატორებით, რომლებიც უნდა გადაუგდონ ლევანევსკის მისი აღმოჩენის შემდეგ.

ლ. ხვატი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 25 აგვისტოს რესპუბლიკელთა ჯარები, რომლებიც განაგრძობენ შეტევას აღმოსავლეთის ფრონტზე, მიადგნენ სოფლებს მედიანასა და ფუენტეს დე ებროს (სარაგოსის სამხრეთით). რესპუბლიკელები იბრძვიან კოდოსთვის. პინის რაიონში დაკავებულია მეამბოხეთა ყველა პოზიცია.

ცნობაში მოყვანილია რესპუბლიკელების მიერ კინტოს აღების დაწვრილებითი ამბავი; ბრძოლა კინტოს გამო 2 დღეს გრძელდებოდა. მეამბოხეებმა, რომელთა განკარგულებაშიც არის 1500 კაცისაგან შემდგარი რაზმი, აგრეთვე არტილერიის მნიშვნელოვანი ძალები და დიდძალი ავტომატური იარაღი, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, რესპუბლიკელთა მიწოლის გამო ისინი იძულებული გახდნენ ნაწილობრივ დაეთმოთ კინტო, ნახეს რა ამასთანავე უდიდესი ზარალი. მეამბოხეთა ოფიცრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ 24 აგვისტოს საღამოს ფარულად გაიქცა კინტოდან სარაგოსას. კინტოში რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, ხელის რამდენიმე ტყვიამფრქვევი და მრავალი შაშხანა. კინტოს მოსახლეობა სიხარულით შეხვდა რესპუბლიკური ჯარების შესვლას.

პინაში, მდინარე ებროს მეორე მხარეზე, მეამბოხეები ცდილობდნენ დაებრუნებინათ რესპუბლიკელთა მიერ დაკავებული ვაგზალი, მაგრამ უკუგდებულ იქნენ და გაიქცნენ. ბონასტრეს გამაგრებული მონასტრის დაკავების დროს რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 2 ქვემეხი. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე 1000-ზე მეტი სული პირუტყვი.

25 აგვისტოს ბრძოლებში რესპუბლიკელთა ზარალი უმნიშვნელოა.

რესპუბლიკელთა ავიაცია აქტიურ დახმარებას უწევდა ქვეითი ნაწილების ოპერაციებს. 25 აგვისტოს გაიმართა ორი საჰაერო ბრძოლა, ერთერთი ბრძოლის დროს ჩამოაგდეს მეამბოხეთა 2 თვითმფრინავი, რესპუბლიკელთა ავიაციამ დაჰკარგა ერთი თვითმფრინავი.

ტერუელის უბანზე რესპუბლიკელთა ჯარები განაგრძობენ ოპერაციებს სიერა—პალამერის მთის ქედის მახლობლად (ტერუელის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და ცდილობენ შესწყვიტონ მიმოსვლა ტერუელსა და სარაგოსას შორის. რესპუბლიკელები ისე მიუახლოვდნენ მთების ფერდობებს, რომ მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

ჩრდილოეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო 25 აგვისტოს იუწყება, რომ მეამბოხეებმა წინ წაიწიეს სანტანდერის უბანზე, დაიკავეს ტორელავეგა და გადასჭრეს მიმოსვლის უმნიშვნელოვანესი გზები სანტანდერისა და ასტურიის პროვინციებს შორის. იტალიის დივიზიებისა და მეამბოხეთა ჯარის მოახლოვებასთან დაკავშირებით სანტანდერის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე გახდა. რესპუბლიკელთა ჯარების დიდმა ნაწილმა ასტურიისაკენ დაიხია.

ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, 24 აგვისტოს ღამით, მეამბოხეებმა ყუმბარები დაუშინეს მადრიდს და გაისროლეს დაახლოებით 500 ყუმბარა, რომელთა უმრავლესობა ქალაქის ცენტრში დავარდა. სააგენტოს ცნობებით მოკლულია 10 და დაჭრილია 25 კაცი.

ინგლისის პროტესტი ფრანკოს წინააღმდეგ

ლონდონი, 26 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობამ ფრანკოს გაუგზავნა პროტესტი მეამბოხეთა თვითმფრინავების მიერ ინგლისის გემ „ნოემი ჯულიასთვის" ყუმბარების დაშინის გამო. ინგლისის მთავრობა აღნიშნავს, რომ ინგლისის სავაჭრო გემებზე მსგავსი თავდასხმების განმეორების შემთხვევაში ინგლისის მთავრობა იტოვებს უფლებას მიმართოს ისეთ „მოქმედებას", როგორსაც გარემოება მოითხოვს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

25 აგვისტოს საღამოს სხდომა

ბრალდებულ მათე შათირიშვილის დაკითხვა

გრძელდება მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური დივერსიულ-ტერორისტული ორგანიზაციის პროცესი. 25 აგვისტოს საღამოს სხდომაზე უკანასკნელად დაკითხულ იქნა მავნებელი, მეფის არმიის ყოფილი უნტერ-ოფიცერი მათე შათირიშვილი. შათირიშვილი დაპატიმრებამდე მუშაობდა სიღნაღის რაიონის ხირსის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის უფროს სპეციალისტად და დირექტორის მოადგილედ. ხალხის მტერმა შათირიშვილმა ჯერ კიდევ 1932 წელს ნახევარი მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა ყვარლის საბჭოთა მეურნეობას. იცოდა რა ყველაფერი ეს, გარეწარმა სუჯა კუხალეიშვილმა მოსინჯა ნიადაგი შათირიშვილის ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩასაბმელად. შათირიშვილი, როგორც მეფის არმიის უნტერ-ოფიცერი, უკმაყოფილო ელემენტი და მავნებელი, უყოყმანოდ ჩაება მემარჯვენეთა ტერორისტულ ორგანიზაციაში, გაეცნო მის პროგრამას და კუხალეიშვილისა და ალექსი ბაიდოშვილისაგან მიიღო მავნებლური დავალებანი ხირსის საბჭოთა მეურნეობისათვის ძირის გამოსათხრელად.

თავმჯდომარე: რა და რა მავნებლობანი ჩაიდინეთ თქვენ?

შათირიშვილი: ძნელია მათი გახსენება და ჩამოთვლა, მაგრამ მე მაინც მოგახსენებთ ზოგიერთებზე. პირველად მე მავნებლურად დავრგე 50 ჰექტარზე არეული ჯიშის ვაზი, რაც მოსავლის დაკრეფის დროს გამოიწვევდა დიდძალი მუშა-ხელის დაბანდებას და ყურძნის დასახარისხებლად დიდ დროსა და თანხებს.

ფაქტიურად მათე შათირიშვილმა მავნებლური მუშაობა გააღრმავა მას შემდეგ, რაც ხირსის მეურნეობის დირექტორად დანიშნულ იქნა მავნებელი ალექსი ბაიდოშვილი. ეს ორივე გარეწარი ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ მეურნეობის დასანგრევად. პირნათლად ასრულებდნენ ფაშისტ კუხალეიშვილის დავალებებს. შათირიშვილმა 97 ჰექტარი მიწა დაპლანტაჟა, რაშიც აუარებელი თანხები დახარჯა, და შემდეგ აღარ გამოიყენა. ამით მეურნეობამ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი იზარალა. შათირიშვილმა გუმბათის საბჭოთა მეურნეობას 50 ათასი დაავადებული ვაზის ნერგი მიჰყიდა. მანვე ხირსაში ვენახი დროზე არ შეწამლა და მოსავლიანობა საგრძნობლად დაეცა. „სამტრესტის“ მავნებელ და დივერსანტ სპეციალისტების მეგრელიშვილის და შალვა ქარციაძის მეშვეობით შათირიშვილმა 80 ჰექტარი ვენახი განგებ დააავადა, რის გამო მოსავალი 50 პროცენტით დაეცა. მეურნეობის ინჟინერმა ქაჯაიამ მავნებლურად ხევში ააშენა სათბური, რომელსაც ყოველწუთს მოსალოდნელია წყალი წაიღებს. გარდა ვენახების დაზიანებისა და მშენებლობის მავნებლურად წარმოებისა, შათირიშვილი ალექსი ბაიდოშვილთან ერთად ანიავებდა და წყალში ჰყრიდა საბჭოთა თანხებს. მათ ააშენეს წყალსადენი იქ, სადაც წყალი არ იყო, მიწაში ჩააწყეს რკინის მილები. საერთოდ წყალსადენის მშენებლობაზე 60 ათასი მანეთი დახარჯეს, მაგრამ მეურნეობას ერთი წვეთი წყალი არ მიუღია. მაშინ მეორე წყალსადენი ააშენეს, რომელიც 200 ათასი მანეთი დაჯდა. მავნებლურად ამ წყალსადენს ხის მილები გაუკეთეს, რომლებიც მალე დალპა. წყალსადენების მავნებლურ მშენებლობაში დამახასიათებელია ის, რომ სადაც წყალი არ იყო, წყალსადენს რკინის მილები გაუკეთეს, ხოლო სადაც წყალი იყო, იქ კი ხის. მათე შათირიშვილმა ალექსი ბაიდოშვილის დავალებით ქერი დასთესა 12 ჰექტარ დაჭაობებულ ნიადაგზე, რომლის დაფარცხვაც არ შეიძლებოდა, და მუშათა მთელმა შრომამ უშედეგოდ ჩაიარა. გარდა ამისა, შათირიშვილმა ვიღაც მეხილე აგრონომი მევენახედ დააყენა. ამ აგრონომმა ვენახები გააფუჭა და რამდენიმე ხნის შემდეგ მეურნეობა დასტოვა.

ტალახაძე: მევენახეობის დარგში რომ მავნებლობა არ ყოფილიყო რა იქნებოდა?

შათირიშვილი: მიწსახკომში და სამტრესტში დიდ მავნებლობას რომ არ ჰქონოდა ადგილი, კახეთში მევენახეობა ერთიორად გაიზრდებოდა და მშრომელ გლეხობას შემოსავალი მოემატებოდა. მაგრამ სწორედ ეს არ უნდოდა მემარჯვენეთა ტერორისტულ ჯგუფს, რომლის წევრი მეც გახლდით. პირიქით, ჩვენ ვიბრძოდით იმისათვის, რომ რაც შეიძლება შეგვემცირებინა მოსავალი, გამოგვეწვია ხალხში უკმაყოფილება და ამით საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელი გაგვეტეხნა.

ძნელი ჩამოსათვლელია ყველა ის მავნებლობა, რაც ფაშისტების აგენტმა შათირიშვილმა ჩაიდინა. იგი სასამართლოს წინაშე არ არის გულწრფელი. მან განაცხადა, ჩემი მავნებლური მუშაობით დაახლოვებით 6 მილიონი მანეთის ზარალი მივაყენე საბჭოთა ხელისუფლებასო.

26 აგვისტოს დილის სხდომა

ბრალდებულ ა. გ. კობეშავიძის დაკითხვა

26 აგვისტოს დილის სხდომა გაიხსნა ბრალდებულ ა. გ. კობეშავიძის დაკითხვით, რომელმაც წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო. კობეშავიძე, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების ალავერდაშვილისა და წითლიძის დავალებით ატარებდა მავნებლობას სასამართლოსა და დაცვის ორგანოებში. აძლევდა კოლმეურნეებს არასწორ განმარტებას საბჭოთა კანონებზე, ამახინჯებდა თავისი, როგორც დამცველთა კოლექტივის წევრის, მუშაობის მეთოდებს, ავრცელებდა გლეხებში ღვარძლსა და უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას.

— 1927 წელს, — უჩვენებს დაკითხვის დროს ბრალდებული კობეშავიძე, — როცა მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსზე ვსწავლობდი, პირველად გავები კონტრრევოლუციის ხლართებში. ტროცკისტ მიშა არუთინოვის მიწვევით დავესწარი ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის ორ კრებას. კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე ამავე დროს გამოვედი „83“-ის პლატფორმის დასაცავად. კომკავშირის ორგანიზაციამ მე მომამაგრა პოლიტიკურად კარგად მომზადებული ამხანაგი, რომელმაც ამიხსნა ჩემი შეცდომის კონტრრევოლუციური შინაარსი და ამ შეცდომაში მეც დავრწმუნდი მაშინ. გავწყვიტე კავშირი ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციასთან და ამის შესახებ განცხადება შევიტანე კომკავშირის ბიუროკოლექტივში. 1936 წელს გადმომიყვანეს სიღნაღში. აქვე გავეცანი დამცველთა კოლექტივის მაშინდელ ხელმძღვანელს ვერულაშვილს, რომელიც ხშირად ლაპარაკობდა ჩემთან პარტიისა და მთავრობის თითქოს შემცდარ პოლიტიკაზე სოფლად მუშაობის დარგში. ამავე წელს ვერულაშვილთან ერთად თბილისში მგზავრობა მომიხდა. მან დამიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იცის ჩემი წარსული მუშაობის შესახებ ტროცკისტულ ორგანიზაციაში, და მითხრა — ყოფილ ტროცკისტებს უნდობლად გვიცქერიან, დღეს თუ ხვალ რეპრესიები არ აგვცდებაო. გამაგებინა რა სიღნაღში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა, წინადადება მომცა შევსულიყავი მასში. პირველად არ დავთანხმდი. 3-4 თვის შემდეგ ვერულაშვილი პარტიიდან გარიცხეს და გაძევეს სიღნაღიდან. არ გასულა დიდი ხანი, რომ ალავერდაშვილმა თავის ბინაზე მიმიხმო და მკითხა, ვერულაშვილს ხომ არაფერი უთქვამს შენთვისო. არა-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ მან ჩემსა და ვერულაშვილს შორის მომხდარი საუბრის დეტალებზეც კი მიმითითა და თან დამამშვიდა — ნუ გეშინიან, ჩვენ ყველაფერი ვიცით, შენ ყოფილი ტროცკისტი ხარ, კავშირი გქონდა ვერულაშვილთან, რომელიც ახლა გარიცხულია პარტიიდანო, და თან დასძინა — არსებული ხელმძღვანელობის კრახი დღეების ამბავია, გარეშე ძალის ჩარევით თუ შინაური განხეთქილებით ეს საკითხი მალე გადაწყდებაო. წინადადება მომცა დამეწყო მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობა, რომლის ხელმძღვანელად თვითონ ალავერდაშვილი ითვლებოდა წითლიძესთან ერთად.

— ალავერდაშვილმა განმიცხადა, — განაგრძობს ბრალდებული კობეშავიძე, — რომ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობის მეთოდები ძირიანად შეცვლილია. მისი დავალებით მე უნდა მემუშავნა სასამართლოსა და დაცვის ხაზით. ხელი შემეშალა რევოლუციური კანონიერების სწორად გატარებისათვის, განზრახ ამერია გზა მომჩივნებისათვის, რომ ამით გამომეწვია მშრომელთა სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

— მე თანხმობა განვაცხადე და შევუდექი საქმეს. საქმეების გაჭიანურების დროს მოხერხებულად ვიყენებდი ფორმალურ მომენტებს. მაგალითად, იმ გლეხებისათვის, რომელნიც თავისუფალი არიან სას.-სამ. გადასახადისაგან, წესით განცხადება უფასოდ უნდა დაგვეწერნა. იყო შემთხვევები, როცა შორეული სოფლიდან მოსულ გლეხებს, რომლებსაც ხელზე არ აღმოაჩნდებოდათ გადასახადისგან განთავისუფლების ცნობა, განცხადებას არ ვუწერდით და ცნობისათვის უკან ვაგზავნიდით, რომ ამით უკმაყოფილება შეგვექმნა.

შემდეგ ბრალდებული უჩვენებს, თუ როგორ ეწეოდა იგი ხალხში სასამართლოსა და საერთოდ საბჭოთა კანონების დისკრედიტაციას.

— როცა სასამართლოს სამართლიანი განაჩენი გამოჰქონდა, — ამბობს კობეშავიძე, — მსჯავრდადებულთა მშობლები და ნათესავები ხშირად ჩემთან მოდიოდნენ. მე თუგინდ დარწმუნებული ვყოფილიყავი განაჩენის სისწორეში, ხალხის გასაგონად მაინც გავიძახოდი — ეს არასწორი დადგენილებაა. სასამართლო თავისებურად სწყვეტს საკითხებს-მეთქი. ასე მოვიქეცი, მაგალითად, აბაშიძის საქმეზე, რომელსაც გაფლანგვისათვის 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ალუღიშვილის საქმეზე, რომელიც ყაჩაღობას ეწეოდა და მიუსაჯეს 7 წელი, ნატროშვილის საქმეზე, რომელსაც იარაღის უნებართვოდ შენახვისათვის 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, და სხვ. მავნებლობას ვეწეოდი იურიდიული რჩევა-დარიგების საქმეშიც. მეტწილად კანონის პირდაპირ საწინააღმდეგო პასუხს ვაძლევდი მუშებსა და კოლმეურნეებს, ბევრჯერ უსაფუძვლო შუამდგომლობათა აღძვრით თვეობითა და წლობით ვაჭიანურებდი სასამართლოს საქმეების გარჩევას. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დახმარებას თვით მოსამართლე ვასო მახოშვილიც მიწევდა. ამავე საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე მეორე მოსამართლე მიკირტუმოვი.

თავმჯდომარე: მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შენთან ერთად კიდევ სხვა ვინ მუშაობდა?

კობეშავიძე: მუშაობდა მახოშვილი, მიკირტუმოვი, სასამართლოს მაშინდელი მდივანი მარო სარქისოვა და ვიღაც კიდევ სხვები, მაგრამ ვინ, არ ვიცი. ალავერდაშვილმა წინასწარ მითხრა, როცა თანხმობა მივეცი შემესრულებინა მისი დავალებები, რომ პროკურატურაში ჩვენი ორგანიზაციის სხვა წევრებიც არიან, რომლებიც თვალს ადევნებენ შენს მუშაობასო. მართალია, ჩემთვის ალავერდაშვილს არაფერი უთქვამს მიკირტუმოვზე, მაგრამ ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მიკირტუმოვიც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი იყო. ისიც იმის მსგავს საქმეებს აკეთებდა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, იგი აგინებდა და უხეშად ექცეოდა გლეხებს. იყო ასეთი შემთხვევა: ოზბეთელაშვილს ხულიგნობისათვის პატიმრობა მიუსაჯეს. მიკირტუმოვთან გამოცხადდა ოზბეთელაშვილის ცოლი და სთხოვა დაებრუნებინა მისთვის მოვერცხლილი ხანჯალი, რომელიც მის ქმარს დაპატიმრების წინ ჩამოართვეს. ხანჯალი იმჟამად არ წარმოადგენდა საქმის არავითარ დამადასტურებელ საბუთს. კანონით იგი პატრონს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მიკირტუმოვმა ქალს ხანჯალი არ მისცა და ოთახიდან უშვერი სიტყვებით გამოაგდო. მიკირტუმოვს ძალიან ხშირად არასწორი განაჩენიც გამოჰქონდა.

თავმჯდომარე: ბრალდებულო კობეშავიძევ! დაასახელეთ, რომელ საქმეებზე გამოიტანა არასწორი განაჩენი მიკირტუმოვმა.

კობეშავიძე: უკანონო განაჩენი განზრახ იქნა გამოტანილი ჯუგაანის კოლმეურნეობის წევრების ყუსრაშვილისა და სხვათა მიმართ, რომლებმაც ლეწვის შემდეგ კალოზე ნარჩენები მოგავეს, გასწმინდეს, გაჰყიდეს და აღებული ფულით საერთო ქეიფი მოაწყეს. ამისათვის ბრალდებულებს ორი-ორნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დანაშაული კი შედარებით მსუბუქი იყო. მეორე — ბულაშვილის საქმე, რომელიც წითელ წყაროში გაირჩა. ბულაშვილმა გაანიავა საკოლმეურნეო ქონება და მიითვისა სამინდე შემოსავალი 1000 ფუთის რაოდენობით. საქმე 7 აგვისტოს კანონით უნდა გარჩეულიყო. ჩვენ კი ბრალდებას 114 მუხლი მივუყენეთ და ბულაშვილს მხოლოდ 2 წლით პატიმრობა მივუსაჯეთ. მანგოშვილი და ხარაშვილი ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას უჩიოდნენ კუთვნილ ხორბალს. საქმე 1935 წელს დაიწყო. საქმე მრავალჯერ განზრახ გადაიდო და ჩემი დაპატიმრების წინაც არ იყო გარჩეული. არასწორი, მსუბუქი დადგენილება გამოვიტანეთ ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მკვლელის მიმართაც. მახოშვილი პროცესის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს სოფლად ხდებოდა, გამოდიოდა ანტისაბჭოთა სიტყვებით, მიმართავდა გლეხებს — კანონი სხვაგვარი უნდა იყოს, რომ თქვენი ინტერესები დაცულ იქნასო. საერთოდ სასამართლოს აპარატიც ჩვენს სტილზე იყო მოწყობილი. სასამართლოს ყოფილი მდივანი სარქისოვა ბიუროკრატულად ეპყრობოდა გლეხებს. შესრულდებოდა თუ არა 3 საათი, ერთი წუთიც რომ გადაცილებოდა, შორეული სოფლიდან მოსულ გლეხებს უბრალო შეკითხვაზედაც არ გასცემდა პასუხს, რომ ამით უკმაყოფილება გამოეწვია ხალხში საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ბევრჯერ იყო შემთხვევა, რომ, თითქოს სტატისტიკური ცნობების შედგენისათვის, სარქისოვა ჩაიკეტავდა გამომძიებლის ოთახის კარებს და მთელი დღე გარეთ არ გამოდიოდა. მოსული მთხოვნელები კი მთელ დღეებს მის მოლოდინში ჰკარგავდნენ.

თავმჯდომარე: ალავერდაშვილმა გითხრათ თუ არა, რა უნდა გამოეწვია საბოლოოდ ამ თქვენს მავნებლურ მუშაობას?

კობეშავიძე: უნდა გამოეწვია საბჭოთა ხელისუფლების დანგრევა და კაპიტალიზმის აღდგენა.

ბრალდებულ ვასო მახოშვილის დაკითხვა

თავმჯდომარე: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში, რომ, იყავით რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, ეწეოდით მავნებლობას, სცდილობდით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას?

მახოშვილი: წამოყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ვცნობ.

თავმჯდომარე: მოახსენეთ სასამართლოს, როდის, ვინ ჩაგაბათ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და რას აკეთებდით.

მახოშვილი: 1936 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში, ჩემი მოსამართლედ ყოფნის დროს, აღძრული იყო შრომის საქმე საბჭოთა მეურნეობების მიმართ. მუშები სჩიოდნენ ხელფასს 7.000 მანეთის რაოდენობით. საქმე დანიშნული იყო, როცა რაიკომის ყოფილმა მდივანმა წითლიძემ დამიძახა თავის კაბინეტში და მომმართა — მუშების საჩივარი უკანონოა, მათ არაფერი არ ერგებათ, და ძიებაზე უარი უნდა უთხრათო. წითლიძის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ძიება არ იყო მთლიანად დამთავრებული, საქმე მოვსპეთ. 1937 წლის თებერვალში მე და მიკირტუმოვი ერთ საღამოს გამოგვიძახეს რაიკომში, სადაც დაგვხვდნენ წითლიძე და ალავერდაშვილი. ჯერ გამოგვკითხეს, რამდენი საქმე გვქონდა გასარჩევი, შემდეგ კი წინადადება მოგვცეს საქმეების დანიშვნა შეგვეჩერებინა და გაგვეჭიანურებინა. თუ ამას არ შევასრულებდით, ჩვენს წინააღმდეგ ზომებს მიიღებდნენ. ბოლოს გვითხრეს — ახლა წადით და ამ საქმეზე შემდეგ კიდევ მოვილაპარაკოთო. 3-4 დღის შემდეგ წითლიძემ ისევ დამიბარა და გამომკითხა, თუ რამდენად შევასრულე მისი დავალება, და მეორეჯერ მომცა წინადადება გამეჭიანურებინა საქმეების გარჩევა. არასწორი დადგენილებები გამომეტანა ისე, რომ არავის შევემჩნიე დანაშაულში. ამის შესახებ მოვახსენე პროკურორ მესტიაშვილს, რომელმაც ასე მიპასუხა: — რასაც გეუბნებიან, ისე გააკეთეო. წითლიძემ მესამეჯერ გამომიძახა და წამიკითხა რაიკომის ბიუროს დადგენილება, შავად დაწერილი — ამას წინათ შენ შრომის საქმის ძიებაზე მუშებს უარი უთხარი, ამით რევოლუციური კანონიერება დაარღვიეო და ამიხსნა, სიღნაღში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია არსებობს და წინადადება მომცა ჩავბმულიყავი მასში. თუ ამას არ შევასრულებდი, შრომის საქმის ძიებაზე უარის თქმისათვის თანამდებობიდან მომხსნიდნენ და გამრიცხავდნენ პარტიიდან. მე ვერ გამოვიჩინე გამბედაობა ეს შინსახკომის ორგანოებისათვის შემეტყობინებინა და დავთანხმდი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობაზე. დავალებები, წითლიძის თქმით, მესტიაშვილისაგან უნდა მიმეღო. მეც შევუდექი მავნებლურ საქმიანობას, განზრახ ვაჭიანურებდი მეტად საჩქარო საქმეების დანიშვნას და გარჩევას, გამომქონდა არასწორი დადგენილებები.

სასამართლოსა და პროკურატურიდან მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, როგორც ეს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გადმომცეს, შედიოდნენ მიტო მენთეშაშვილი, მარო სარქისოვა, მიტო მესტიაშვილი და იროდიონ კეშელავა. წითლიძის დავალებით ორგანიზაციაში სამუშაოდ უნდა შემეკრიბა საიმედო ხალხი. პირველად კეშელავას გამოვუძახე, მინდოდა მასთან ჩამომეგდო საუბარი, მაგრამ, როგორც კი შემატყო, მითხრა — ყველაფერი ვიცი, წითლიძისაგან დავალება მივიღე და თან დასძინა, რომ წითლიძის სანქციით განცხადების დაწერისათვის გადასახადი უნდა გადავახდევინო იმასაც კი, ვისაც გადახდა არ ეკუთვნისო. ეს ორგვარი მოსაზრებით ხდებოდა — ჯერ ერთი, ამით შემოსავლის ახალი წყარო უნდა გაჩენილიყო, ხოლო მეორე — ეს უკმაყოფილებას გამოიწვევდა გლეხობაში. ჩვენ გამოგვქონდა არასწორი განაჩენიც. ზოგს უკანონოდ ვაძლევდით სამართალში, საქმის გარჩევის დროს ვისაც მეტი სასჯელი ეკუთვნოდა, იმას ნაკლებს ვადებდით და პირიქით.

პროკურორი: თქვენ გაარჩიეთ ნასყიდაშვილის საქმე, რომელმაც მოჰკლა ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩუთლაშვილი. ბრალდებულს მსუბუქი სასჯელი მიეცით, რაც უზენაესი სასამართლოს საკასაციო საკრებულომ დაარღვია. ვინ დაგავალათ ეს?

მახოშვილი: არ მახსოვს, ნასყიდაშვილს პირველად 144 მუხლი ჰქონდა წაყენებული. შემდეგ ეს 146 მუხლით შევუცვალეთ, მაგრამ ჩვენი განაჩენი უზენაესმა სასამართლომ დაარღვია და მკვლელს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

თავმჯდომარე: როგორც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, საქმეებს თქვენ არასწორად არჩევდით. საინტერესოა გავიგოთ, საქმის რამდენი პროცენტი იქნება გარჩეული მავნებლურად?

მახოშვილი: კარგად არ ვიცი, ორი თვის განმავლობაში სისხლის სამართლის 15 საქმე მაინც იქნება გარჩეული, მაგალითად იოსებ მჭედლიშვილის, ვართან აკოფოვისა და სხვების.

დამცველი: მავნებლურად გარჩეული საქმე ოდესმე ხომ არ ყოფილა გაპროტესტებული დამცველის ან პროკურორის მიერ?

მახოშვილი: იყო. ვართან აკოფოვის საქმე მიტო მესტიაშვილმა გააპროტესტა.

პროკურორი: რათ გააპროტესტა? მესტიაშვილმა ხომ იცოდა, რომ ეს საქმე თქვენს მიერ შეგნებულად იყო გარჩეული მავნებლურად.

მახოშვილი: იცოდა, მაგრამ გააპროტესტა მას შემდეგ, რაც ამ უკანონო განაჩენზე პრესაში მამხილებელი წერილი დაიბეჭდა.

დამცველი: „კომუნისტში“ გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია იმის შესახებ, რომ თქვენ სასამართლოს ანგარიში უხეიროდ ჩაატარეთ. რატომ მოხდა ეს?

მახოშვილი: ეს იყო, საანგარიშო კრებები თითქმის ყველგან ცუდად ჩავატარეთ. ხალხი არ გვესწრებოდა. კრიტიკაც არ იყო გაშლილი. წითლიძემ შეგნებულად არ მიიღო წინასწარი ზომები ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად. ხალხი რომ ყველა დაგვსწრებოდა და კრიტიკა გაშლილიყო, შეიძლება ჩვენი მავნებლური საქმეები უფრო ადრე გამომჟღავნებულიყო. ჩვენ კი ისე მოვაწყეთ საქმე, რომ სასამართლოს მუშაობა ყველგან დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ეს არ იყო სწორი.

ბრალდებულ ფ. ა. ყაჯრიშვილის დაკითხვა

ბრალდებული ფ. ა. ყაჯრიშვილი შეეცადა არ მიეცა სასამართლოსათვის სწორი ჩვენება იმ მავნებლური მუშაობის შესახებ, რასაც იგი, როგორც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა სოფ. ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. იგი შეეცადა სასამართლოსათვის ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს, მართალია, იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, ღებულობდა დავალებებსაც, მაგრამ არ ასრულებდა მათ. სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის ოსტატური შეკითხვების შემდეგ ყაჯრიშვილი ბოლოს იძულებული გახდა ეთქვა ყველაფერი.

დადასტურდა, რომ ფ. ა. ყაჯრიშვილი, რომელიც მოქმედებდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის ი. სტეფანოვის დავალებებით, ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, უხეშად ეპყრობოდა კოლმეურნეებს, რომ ამით მათში გამოეწვია უკმაყოფილება და დაერღვია დისციპლინა, ხელოვნურად ამცირებდა ნორმებს, რომ ამით შეემცირებინა შრომის ნაყოფიერება, ჩაშლიდა ხოლმე თესვისა და ნათესების აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მიმართულს მოსავლიანობის გადიდებისაკენ.

წაყენებულ ბრალდებებში ფ. ა. ყაჯრიშვილმა თავი დამნაშავედ სცნო.

ბრალდებულ ნ. ა. ჯავაშვილის დაკითხვა

— 1936 წლის ივნისში, — უჩვენებს დაკითხვაში ბრალდებული ნ. ა. ჯავაშვილი, — სესხზე ხელისმოწერას ვატარებდით. ნებაყოფლობით ზოგმა 50 მანეთზე მოაწერა ხელი, ზოგმა კიდევ 70 მანეთზე. მაშინ მე კოლმეურნეობა „შვიდ ნოემბრის“ თავმჯდომარედ ვმუშაობდი. ჩემთან მოვიდა სოფსაბჭოს თავმჯდომარე გიორგი მეტრეველი და მითხრა — ეს ხელმოწერა არ კმარა, უნდა გადიდდესო. აიღო ხელისმოწერის სია და კოლმეურნეთა ნება-სურვილის წინააღმდეგ ხელისმოწერის საერთო ჯამი 5.500 მანეთი 7.600 მანეთად გადაასწორა. კოლმეურნეებში ამ საქციელმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია — ხელისმოწერა თუ ნებაყოფლობითია, რატომ ასე იქცევითო. მე გამოვკითხე მეტრეველს ამის მიზეზი და მიპასუხა — შემდეგ გეტყვი ყველაფერს, რაშიც არის საქმეო. თანაც გამაფრთხილა — ამის შესახებ არსად არაფერი წამოგცდეს, ეს მე დავალებული მაქვს რაიონიდანო. რამდენიმე დღის შემდეგ მეტრეველი ისევ შემხვდა და მითხრა — მე ვმუშაობ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომელსაც შ. ალავერდაშვილი ხელმძღვანელობს. შენც ჩვენთან უნდა იმუშაოო. ხომ იცი, სესხზე ხელისმოწერის ნებაყოფლობითი პრინციპის დამახინჯებაში შენც გიდევს წილი. თუ მოვინდომე, ამ დამახინჯებას მთლად შენ მოგახვევ და ამისათვის პასუხისგებაში მიგცემენო. მეც თანხმობა განვუცხადე და შევპირდი, რომ შევასრულებდი მათ ყველა დავალებას.

ვანო შანშიაშვილს ცხენი მოუკვდა. დაზღვევის ფული უნდა მიეღო. აქტი შეადგინეს, მაგრამ იგი საბჭოში განზრახ დაჰკარგა მეტრეველმა, და დაზარალებულმა ვერაფერი მიიღო. ჩვენს კოლმეურნეობას 3 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოუკვდა. აქტი შევადგინეთ, საბჭოში ისიც გადამალეს. მე კი მეორე აქტი განზრახ არ შევადგინე, რომ ამით უკმაყოფილება შემქნა ხალხში სახელმწიფო დაზღვევის მიმართ.

— მეტრეველის მითითებით, — განაგრძობს ბრალდებული ნ. ჯავაშვილი, — თამბაქო ისეთ ადგილზე დავთესე, სადაც სარწყავი წყალი არ იყო. წყალს განზრახ არადანიშნულებისამებრ ვუშვებდით, თამბაქოს ჩითილი კი მოურწყველობით გაფუჭდა. თამბაქოს ნერგი შემდეგ სხვაგან ვიყიდეთ და გვიანაც დავრგეთ. აბრეშუმის ჭიის კოლექტიური გამოკვება ცუდად მოვაწყეთ. ჭია ბევრჯერ უფოთლოდ იყო მიტოვებული, მეტწილად კი უვარგისი ფოთლით ვკვებავდით. აბრეშუმის მოვლაზე ბევრი შრომადღე დავხარჯეთ, ნაყოფი კი ძალიან მცირე მივიღეთ.

შემდეგ ბრალდებულმა ჯავაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ მეტრეველისა და სტეფანოვის მონაწილეობით როგორ ახერხებდა იგი უხარისხოდ თესვას და ამით როგორ ჩაშლიდა ხოლმე მოსავლიანობის გადიდების სახელმწიფო გეგმებს.

— შარშან შემოდგომაზე, — ამბობს ბრალდებული ჯავაშვილი, — ჩვენს კოლმეურნეობას ალაზნის ლიკვიდირებულ საბჭოთა მეურნეობიდან 100 ჰექტარი მოხნული მიწა და ამ ფართობისათვის საჭირო თესლი მისცეს. სტეფანოვისა და ბახიას მითითებით თესლი პირველად ალაზანში გადავიტანეთ, მაგრამ თესვას ვადები რომ დარღვეულიყო, მათ ტრაქტორები არ გამოგვიგზავნეს. 600 ფუთი თესლი ალაზნიდან ისევ უკან წამოვიღეთ და დავთესეთ უვარგის და უხარისხოდ მოხნულ მიწაზე. ალაზანში მოხნული მიწა კი რომელსაც მხოლოდ გადახვნა ესაჭიროებოდა, მოვაცდინეთ. მტს-მა არ შეგვისრულა ხელშეკრულება სათესი კულტურების კულტივაციის შესახებ, არ გვეხმარებოდა აღრიცხვის მოწესრიგებაში, სტეფანოვი კი გაიძახოდა — ეს მავნებლური საქმიანობა რაიონთან და მიწსახკომთან შეთანხმებულია, ლაპარაკი საჭირო არ არის, დავალებები უყოყმანოდ უნდა შესრულდესო.

თავმჯდომარე: მაშასადამე, მთელი თქვენი მავნებლური საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ დაგეშალათ კოლმეურნეობები, გაბატონებულიყო კერძო მეურნეობა — კულაკობა, აღდგენილიყო კაპიტალიზმი.

ყაჯრიშვილი: დიახ, ეს იყო ჩვენი მიზანი, მაგრამ ვერ განვახორციელეთ საბოლოოდ.

მოწმეთა დაკითხვა

ბრალდებულთა დაკითხვის დამთავრების შემდეგ სასამართლო გადადის მოწმეთა დაკითხვაზე. პირველად გამოძახებულ იქნა მოწმე, სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი ილო მესტიაშვილი.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, — უჩვენებს მოწმე ი. მესტიაშვილი. — ს. ქუფარაშვილი მთელ რიგ მავნებლურ საქმეებს სჩადიოდა. 1935 წელს საბძლები ავაგეთ. ქუფარაშვილმა ისინი მალე დაანგრევინა. ვიღაც უცნობ კაცს თითქოს წისქვილის მოწყობილობის შესაძენად გაატანა ფული. ის უცნობი აღარ გამოჩენილა და ფულიც დაიკარგა. კოლმეურნეობაში, საერთო კრების ნებასურვილის წინააღმდეგ, კულაკები მიიღო. სალორის აგებაზე რამდენიმე ასეული შრომადღე დაიხარჯა, სალორე კი უვარგისი აღმოჩნდა. შრომადღეებზე გასანაწილებელი ხორბალი გაჰყიდა. წევრებს ავანსს არ აძლევდა, თვითონ კი კოლმეურნეობიდან ათასი მანეთობით გაჰქონდა ფული.

მეორე მოწმე ელიზბარაშვილი უჩვენებს:

— ქუფარაშვილმა სალორის ასაგებად იმაზე მეტი ქვიშა მოგვაზიდვინა, ვიდრე საჭირო იყო. შრომადღეები ზედმეტად დაიხარჯა, სალორე კი აგებიდან სამი კვირის შემდეგ დაშალეს, სალორის ლასტები გომურების მოსაწყობად გამოიყენეს, მალე გომურებიც დაშალეს და მასალა კიდევ სხვაგან გადაიტანეს. ქუფარაშვილმა თივა ცუდად შეანახვინა და დაალპო, პირუტყვი კი შუა ზამთარში უსაკვებოდ დარჩა.

როგორც მოწმე ელიზბარაშვილმა უჩვენა, ქუფარაშვილი სტეფანოვთან შეთანხმებით თვიურად 510 შრომადღეს იწერდა, მიუხედავად იმისა, რომ სტახანოველი კოლმეურნის საშუალო თვიური გამომუშავება აქ 30-33 შრომადღეს არ აღემატებოდა.

— მე, — განაცხადა მოწმე გიგლა ქადაგიშვილმა, — რამდენჯერმე ვაცნობე წითლიძეს ქუფარაშვილის მავნებლურ საქმიანობაზე, მაგრამ ზომებს არ ღებულობდა მის წინააღმდეგ. პირიქით, ხშირად მე მტუქსავდნენ კიდეც — ინტრიგანი ხარო. იყო ასეთი შემთხვევა: იორზე მკაში 77 კოლმეურნე წავედით. ქუფარაშვილს წინასწარი შეთანხმებით უნდა გამოეგზავნა პური. საგზალი არ წაგვიღია. ორ დღეს ველოდით და პური არ გამოგზავნა. ამის გამო ბევრმა მიატოვა მუშაობა და სახლებში დაბრუნდნენ. კოლმეურნეობას აქვს ლინეიკა და ჰყავს ცხენები, ქუფარაშვილი კი ბრიგადებში დაქირავებული ეტლით დასეირნობდა. წითლიძემ, რომელსაც ამ მავნებლობის შესახებ ვაცნობე, საქმის შესასწავლად კოლმეურნეობაში გიორგი მესტიაშვილი გამოგზავნა. მან კი ზომების მაგივრად ასე განაცხადა — ეს რა მავნებლობაა, მოუშვიათ და სამკელიდან სახლებში წამოსულხართო.

— ჩვენ გვქონდა ელექტრონის წისქვილი, — განაგრძობს მოწმე ქადაგიშვილი, — კარგადაც მუშაობდა, მაგრამ ქუფარაშვილის განკარგულებით იგი დაშალეს და უვარგის ადგილზე გადაიტანეს. წისქვილი ახლაც აუმუშავებელია. თბილისში ერთი საკოლმეურნეო სავაჭრო გვქონდა. როგორც პარტიის წევრობის კანდიდატი, თბილისში სავაჭროს გამგედ გამგზავნეს. გავსინჯე და აღმოჩნდა, რომ ჩვენი კოლმეურნეობის სახელით თბილისში ხუთი სავაჭრო იყო გახსნილი. ყველა სავაჭროებში არაკოლმეურნეები მუშაობდნენ. ისინი ადგენდნენ ყალბ საბუთებს, თითქოს მათი სავაჭროები ჩვენი კოლმეურნეობიდან ღებულობდნენ ხურმას, ხილს, ღვინოს და სხვა პროდუქტებს. სინამდვილეში კი ასეთი რამ ჩვენ არ გაგვაჩნდა.

26 აგვისტოს საღამოს სხდომა

მოწმე შალვა ნამგალაძის დაკითხვა

26 აგვისტოს საღამოს სხდომა დაიწყო 7 საათსა და 10 წუთზე. დაკითხულ იქნა მოწმე შალვა ნამგალაძე, რომელიც წინათ მუშაობდა სიღნაღის რაიონში და მათიკაშვილის დავალებით კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა. ნამგალაძე აცხადებს, რომ მან გამოძიების დროს ბევრი რამ დამალა, მაგრამ ახლა „გულწრფელია“ და ყველაფერს იტყვის. 1934 წლის ნოემბერ-დეკემბერში ხალხის დაუხდომელმა მტერმა მათიკაშვილმა, რომელიც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, მომცა დავალება, რომ ულიანოვკის მტს-ში მომეწყო მავნებლური აქტები. ამავე დროს მათიკაშვილმა განმიმარტა, რომ მავნებელთა ორგანიზაციის მიზანია არსებული ხელისუფლების დამხობა, და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სიღნაღის რაიონში, როგორც საქართველოში მარცვლეულის ერთ-ერთ დიდ რაიონში, კოლმეურნეობების დაშლა, ხალხში უკმაყოფილების გამოწვევა და უკმაყოფილოთა და მერყევთა მოზიდვა მემარჯვენეთა ფაშისტურ ორგანიზაციაში.

— მერყევი, უკმაყოფილო და შავი წარსულის მქონე ადამიანებს ვიზიდავდი მემარჯვენეთა ორგანიზაციაში, — უამბობს სასამართლოს ნამგალაძე, — მათიკაშვილს ხშირად ვხვდებოდი. ერთხელ მან მითხრა, რომ წნორის მტს-ში არის მავნებელთა ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობენ სტეფანოვი და მისი მოადგილე პოლიტდარგში აკაკი მენაბდე და სხვ. ულიანოვკის მტს-ის დირექტორი სიმონ ძებნიაური მე ჩამაბა ორგანიზაციაში.

შემდეგ ნამგალაძემ მავნებლური მუშაობა წარმართა კოლმეურნეობების შემოსავლიანობის შემცირებისაკენ, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საქმისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩაშლისაკენ. მტს-ებში, როგორც წესი, უნდა იყოს ინსტრუქტორ-ბუღჰალტერი, რომელიც დაეხმარება კოლმეურნეობებს ანგარიშიანობის მოწესრიგების საქმეში, მაგრამ მავნებელმა მათიკაშვილმა თავისი მავნებლური ბრძანებით გააუქმა ინსტრუქტორ-ბუღჰალტერთა ეს ინსტიტუტი, რომ ამით შეფერხებულიყო კოლმეურნეობებში სწორი ანგარიშწარმოება.

ხალხის დიდხანს შენიღბული მტერი ნამგალაძე ყოველმხრივ სცდილობდა, რომ მავნებლურ-დივერსიულ მუშაობაში ჩაება მტს-ების მუშაკთა მაღალი თანამდებობის პირები: დირექტორები, ინჟინრები, ბუღჰალტრები, აგრონომები და სხვ., რადგან ამათ ყველას შეეძლოთ თავთავიანთი ხაზით დიდი მავნებლობის ჩადენა. ბუღჰალტერი საფინანსო საქმიანობას ჩაშლიდა, აგრონომი თესლბრუნვას, აგროწესებისა და სხვა ღონისძიებათა გატარებას, ხოლო ინჟინერი — ტრაქტორების რემონტს და სხვ. ნამგალაძე სასამართლოს უამბობს, რომ მისი მავნებლური მუშაობა სიღნაღის რაიონში გრძელდებოდა 1934 წლის შემოდგომიდან გასული წლის პირველ აპრილამდე. ჩემი მავნებლობა იყო კოლმეურნეობებში 1935-1936 წ. წ. შრომის, შემოსავლიანობისა და აღრიცხვის ფორმების დიდი დაგვიანებით დაშვება. ამან, რასაკვირველია, ჩაშალა კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საქმე და დიდი არეულობა გამოიწვია.

საკოლმეურნეო წესდების თანახმად, კოლმეურნეებმა შემოსავლის განაწილება სამეურნეო წლის გასვლისთანავე უნდა დაამთავრონ, მაგრამ მათიკაშვილის დავალებით ნამგალაძე ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის დამთავრებას ძალზე აჭიანურებდა. იყო შემთხვევა, რომ შემოსავალს კოლმეურნეები ახალი წლის გაზაფხულამდე ვერ ინაწილებდნენ. ნამგალაძე, როცა წნორის მტს-ის დირექტორად მუშაობდა, თავისი მავნებლური ზრახვების გამო დაინტერესდა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებით. ამ მიზნით მან ჯერ კარგად შეისწავლა შრომის ორგანიზაცია ყველაზე დიდ კოლმეურნეობებში — „შრომაში“, რომელიც მტს-ის გვერდით მდებარეობდა, „ლენინის

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

ანდერმში" და „ნაპერწკალში", ხოლო შემდეგ გაატარა იქ მავნებლური ღონისძიებანი, რის შედეგადაც 1935 და 1936 წლებში ამ კოლმეურნეობებში ჩაიშალა შრომის ორგანიზაცია, დაირღვა ბრიგადების სწორად განაწილების პრინციპი და დიდად შემცირდა შრომადღეების ღირებულება. შრომადღეების ღირებულება გაცილებით მეტი იყო იმ კოლმეურნეობებში, სადაც მავნებლებს ფეხი არ ჰქონდათ მოკიდებული. 1935 წელს ულიანოვკისა და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში ნამგალაძის ხელმძღვანელობით ნიადაგი, ნაცვლად 20 სანტიმეტრის სიღრმისა, მოხნულ იქნა 10-12 სანტიმეტრზე. ამან, რა საკვირველია, ძალზე დასცა მოსავლიანობა.

ხალხის მტერი ნამგალაძე მოუთხრობს სასამართლოს იმის შესახებ, თუ მიწსახკომმა გამარგვლის როგორი მავნებლური გეგმა დაუშვა 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს. მიწსახკომის აპარატში მოკალათებულ დივერსანტ-მავნებელთა ეს გეგმა ითვალისწინებდა იმაზე სამჯერ ნაკლები ფართობის გამარგვლას, რაც კოლმეურნეობებში ფაქტიურად იყო დათესილი.

ტალახაძე: კიდევ რა მავნებლობა ჩაიდინეთ?

ნამგალაძე: მავნებლობა გავატარეთ აგრეთვე სარწყავი არხების მუშაობაშიც. ჩვენ არ ვრწყავდით ყანებს, რის გამო ნადგურდებოდა ნათესი, ხოლო იშვიათ შემთხვევაში თუ მოვრწყავდით, გავუშვებდით ზედმეტ წყალს და წესიერად მორწყვის ნაცვლად დავაჭაობებდით ხოლმე. ეს უკანასკნელი მავნებლებისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო, რადგან ყანის დაჭაობების მიზეზის გამოსარკვევად გამოჰყოფდნენ კომისიას და მოსალოდნელი იყო ჩვენი ჩავარდნა.

როცა დივერსანტი ნამგალაძე წნორიდან მიწსახკომის მეთესლეობის სამმართველოში გადავიდა, მან მათიკაშვილთან ერთად ჩაშალა მეთესლეობის საქმე. კოლმეურნეობებში დაუშვა სათესლე ნაკვეთების გამოყოფის მავნებლური გეგმა. ნამგალაძე მიწსახკომის მეთესლეობის სამმართველოს უფროსი იყო, იგი, როგორც მავნებელი, შლიდა მეთესლეობის საქმეს.

— ჩვენ ვღებულობდით ყოველგვარ ზომებს, რომ მტს-ები რენტაბელური არ გამხდარიყვნენ, — ამბობს ნამგალაძე. — მანქანა-ტრაქტორების სადგურებს ჩვენ მივეცით ტრაქტორების შემცირებული ნორმები. ჩვენ რომ მავნებლური მუშაობა არ ჩაგვეტარებინა, სიღნაღის მტს-ები რენტაბელური იქნებოდა. მანქანა-ტრაქტორების სადგურებში ჩვენ განგებ არ ვგზავნიდით სათადარიგო ნაწილებს და ვშლიდით რემონტის გეგმას. წნორის მტს-ის დირექტორად ყოფნისას საწვავ მასალას ისე ვხმარობდი, როგორც ალაზნის წყალს. წნორის მტს-ს ძალიან დიდი თანხა ჩამოაწერა მათიკაშვილმა.

ტალახაძე: რამდენი მილიონი მანეთის ზარალი მიაყენეთ სახელმწიფოს?

ნამგალაძე: არ ვიცი, ძნელი გამოსაანგარიშებელია.

ნამგალაძე ხშირად აბარებდა მავნებლური მუშაობის შესახებ ანგარიშს და ღებულობდა ახალ-ახალ დავალებებს. როცა ნამგალაძემ თავის ბატონს, ხალხის მტერს მათიკაშვილს მოახსენა, შენი დავალებით უკვე ჩავაბი მემარჯვენეთა ტერორისტულ ორგანიზაციაში წნორის მტს-ის მთავარი ბუხჰალტერი სვეტლოვი, ულიანოვკის მტს-ის დირექტორი ს. ძებნიაური, ზოგადი ინჟ.-მექანიკოსი გამრეკელი და სხვებიო, მათიკაშვილმა უთხრა: მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაცია კარგად მუშაობსო.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის პროცესზე მოწმედ გამოძახებულმა ნამგალაძემ გააცნო სასამართლოს როგორც თავისი მავნებლური მუშაობა სიღნაღში, ისე ფაშისტ წითლიძის, ალავერდაშვილის, სტეფანოვის და სხვათა მავნებლურ-დივერსიული საქმიანობა, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრისა და კაპიტალისტთა ბატონობის აღდგენისაკენ.

მოწმე ვიქტორ გვარამიას დაკითხვა

თავმჯდომარე: თქვენ, როგორც მიწსახკომის მუშაკი, როგორ იყავით დაკავშირებული მემარჯვენეთა დივერსიულ ორგანიზაციასთან?

გვარამია: მე ვიყავი მიწსახკომის მოადგილე. მათიკაშვილმა ჩამაბა მავნებელთა ორგანიზაციის მუშაობაში და მომცა დავალება სიღნაღის რაიონში გამეტარებინა დივერსიული აქტები.

მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრის მათიკაშვილის დავალებით მთელ საქართველოში და განსაკუთრებით სიღნაღის რაიონში მავნებლობამ ძალზე შეანელა საქონლის მეტიზაციის ტემპები. ეს მაშინ, როცა მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას უშვებდნენ გაბერილს, რომ კოლმეურნეობებს გეგმა არ შესრულებინათ და უარი ეთქვათ საერთოდ მეცხოველეობაზე. როგორც სასამართლოს გვარამიამ განუცხადა, მან, წითლიძემ და ალავერდაშვილმა მავნებლურად არავითარი ზომები არ მიიღეს სიღნაღის რაიონში ღორის დაავადებათა წინააღმდეგ. გვარამია, წითლიძე და ალავერდაშვილი ასევე უყურადღებოდ სტოვებდნენ ცხვრისა და მსხვილფეხა რქიანი საქონლის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას: მიწსახკომმა მესაქონლეობის ჯიშების განსავითარებლად სიღნაღში ჩამოიყვანა ჯიშიანი ძროხები, მაგრამ ამჟამად არავინ იცის, სად არიან ისინი და არც ყურადღებას აქცევს ვინმე.

მათიკაშვილს ხალხის გამომჟღავნებულ მტერთან გვარამიასთან არაერთხელ ჰქონია საუბარი მავნებლური მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის შესახებ. გვარამია 1935 წლიდან აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას. მათიკაშვილს არაერთხელ უთქვამს კარეწში გვარამიასათვის, რომ წითლიძე, ალავერდაშვილი და სტეფანოვი ძალიან კარგად მუშაობენ. სიღნაღის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე შ. ალავერდაშვილი მალე ჩაუდგება კახეთის მავნებელთა ორგანიზაციის სათავეში.

მათიკაშვილმა მითხრა, — ამბობს გვარამია, — რომ პირადად ის ხელმძღვანელობს მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას სევა კუხალეიშვილისა და მისი ქარამაშვილის საშუალებით. მათიკაშვილი იმიტომ ხელმძღვანელობდა სიღნაღელ მავნებლებს, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ამ რაიონს. ამიტომ გატარდა აქ მავნებლობა. 40 ათასი მანეთის ნაცვლად ღორების ფერმის მშენებლობაზე 400 ათასი მანეთი მავნებლურად დაიხარჯა. ასევე დიდი გადახარჯვა იყო შირაქში ცხვრების ბინების მშენებლობაზე. ალავერდაშვილი, თბილისში რომ ჩამოვიდოდა, მეტ დროს მათიკაშვილთან იყო ხოლმე და ღებულობდა მისგან დავალებებს. ალავერდაშვილმა 1937 წელს საბჭოთა მეურნეობის ცხვრებს მოაძოვებინა კოლმეურნეთა საძოვრებზე, რის გამო კოლმეურნეთა ცხვრები მშივრები დარჩნენ. მე ვიცი, რომ ქ. აბაშიძეს კავშირი ჰქონდა ალიბაშვილთან.

ტალახაძე: ღორის ჭირის შესახებ რას იტყვით?

გვარამია: ღორის ჭირის მოსასპობად არა მარტო სიღნაღში, არამედ სხვაგანაც არ ვღებულობდით არავითარ ზომებს, რადგან მავნებლები ვიყავით.

ტალახაძე: ინფექციური აბორტის შესახებ რას იტყვით?

გვარამია: სიღნაღში და საერთოდ საქართველოში ადგილი ჰქონდა ინფექციურ აბორტს, რომელსაც ჩვენ, როგორც მავნებლები, არ ვებრძოდით.

გამომჟღავნებული მტრის ვ. გვარამიას დაკითხვის შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმეები — მავნებლები ვ. ზახაროვი (ხირსის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი) და ყოფილი სოც.-ფედერალისტი, გადასახლებაში ნამყოფი მავნებელი არჩილ ნაცვლიშვილი (შირაქის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი მეგმავე).

26 აგვისტოს საღამოს სხდომა ამით დამთავრდა.

27 აგვისტოს დილის სხდომა

27 აგვისტოს დილის სხდომაზე დამატებით დაჰკითხეს ბრალდებული სტეფანოვი, რომელმაც სასამართლოს მისცა ახალი მასალები თავისი კონტრრევოლუციური გამცემლური მუშაობის შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, თუ როგორ აფერხებდა იგი ალაზნის არხის გამოყენებას, როგორ ჩაშალა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და აღმრიცხველთა კადრების მომზადების საქმე.

როგორც სტეფანოვმა აჩვენა, იგი იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც სუსტი თავმჯდომარეები ჰყავდათ, შეგნებულად არ უსრულებდა ხელშეკრულებებს და ამით შლიდა გეგმებს.

რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე დივერსანტი ალავერდაშვილი აჩვენებს, რომ მიწგანის გამგე გოჩიტაშვილი მან განზრახ მიამაგრა მეცხვარეობის საქმეს, რათა ამით იგი ჩამოეშორებინა მემინდვრეობის საქმის მოგვარებისაგან.

ბრალდებულმა ქუფარაშვილმა აჩვენა, თუ როგორ მოაწყო ალავერდაშვილმა რაიაღმასკომის კომბინატში 800 სული ცხვრის დაწვა ფარეხისათვის ცეცხლის წაკიდებით.

ამით დამთავრდა ბრალდებულთა დამატებითი დაკითხვა.

ამავე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი — რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ტალახაძე.

სახელმწიფო ბრალმდებელი დაწვრილებით შეეხო მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დივერსიულ-ტერორისტულ და მავნებლურ მუშაობას. ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა თბილისში აღმოჩენილი და განადგურებული ტროცკისტული ცენტრის განშტოებას და მოქმედებდა ხალხის მტრების და დივერსანტების: ბ. მდივნის, პ. აღნიაშვილის, მ. ტოროშელიძის, გ. მგალობლიშვილის, შ. მათიკაშვილისა და სხვათა დავალებებით, აწყობდა შეიარაღებულ ჯგუფებს, ამტვრევდა ტრაქტორებსა და კომბაინებს, განზრახ ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს და ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას, მიმართულს პირველ რიგში სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის გაჩანაგებისაკენ.

ამხ. ტალახაძემ სასამართლოს გააცნო წითლიძის, ალავერდაშვილის და სხვათა ბრძოლისა და გადაბირების მეთოდები.

როცა ამხ. ტალახაძემ თავის საინტერესო სიტყვაში ახსენა ჩვენი საამური ცხოვრების შემოქმედის დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების სახელები, — დარბაზში იგრიალა ტაშმა და გაისმა შეძახილები:

გაუმარჯოს სტალინს! გაუმარჯოს ეჟოვს! სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა ბანდიტთა ამ ხროვის დახვრეტა.

სიტყვით გამოვიდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი, კოლმეურნეობა „ნაპერწკლის" თავმჯდომარე ამხ. კოჭლამაზაშვილი, რომელმაც აგრეთვე მოითხოვა ხალხის ამ უსაზიზღრესი მტრების განადგურება. იგი მოუწოდებს სიღნაღის რაიონის მშრომელებს ბრძოლის გაძლიერებისაკენ მავნებლური მუშაობის შედეგების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის.

ამის შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა ი. თუთბერიძემ, ვ. რობაქიძემ, ჩაჩანიძემ და ლეონტმა.

სიკვდილი ხალხის უსაზიზღრეს მტრებს — სამშობლოს გამყიდველებს! აღვგავოთ პირისაგან მიწისა საძაგელი ქვეწარმავლები

ქუთაისი, 27 აგვისტო (საქდეს). დღეს დილით, თბილისის გაზეთების მიღების შემდეგ, ქუთაისის მშრომელნი გაეცნენ საბრალმდებლო დასკვნას მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური, ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის საქმის შესახებ.

საძაგელი, საზიზღარი კაცუნების ბანდის მავნებლური მუშაობის საზარელმა ფაქტებმა ქუთაისის მშრომელთა უდიდესი აღშფოთება და მძაფრი სიძულვილი გამოიწვიეს ხალხის მტრების მიმართ.

აბრეშუმის კომბინატის მუშათა ორიათასიან მიტინგზე გამოვიდნენ სტახანოველები ამხ. ზმელიძე, პლასიევი, კურცხალია და სხვ. მათ განაცხადეს: „ხალხის საძაგელი მტრები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში, კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობის აღდგენას. მათ სურდათ წაერთმიათ ჩვენთვის დიადი მონაპოვარნი, რომლებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში. ეს არამზადები არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას თავიანთი საძაგელი მიზნების მისაღწევად, ისინი საზარელ დანაშაულს სჩადიოდნენ. მათ ვერ მოახერხეს განეხორციელებიათ თავიანთი ბანდიტური ზრახვები. ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო ძლიერი და უძლეველია. მტრის ვერავითარი ხრიკები ვერ შესძლებენ შეარყიონ საბჭოთა ქვეყნის ფოლადისებური ძლიერება, ვინაიდან მას ხელმძღვანელობს დიდი სტალინი.

უფრო მჭიდროდ შევმჭიდროვდეთ ჩვენი საყვარელი ბელადის — ამხანაგი სტალინისა და ბოლშევიკების პარტიის გარშემო. დაუცხრომლად ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის აყვავებაზე.

დაუნდობლად გამოვყაროთ ყველა სოროდან ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის ნაბოლარები".

აბრეშუმის კომბინატის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად მოითხოვს დახვრიტონ საზიზღარი არამზადები, რომელშიც თარეშობდნენ სიღნაღის რაიონში. სამართალში მისცენ და საჯაროდ დასაჯონ ტროცკისტი ბანდიტი — კონტრრევოლუციონერები შოთაძე, პეტუხოვი, მაჭავარიანი, შავგირაძე, ბერაძე, ლომინაძე და სხვ., რომლებიც ძირგამომთხრელ კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას აწარმოებდნენ ქუთაისის რაიონში ხალხის უსაზიზღრესი მტრების მდივანის, მგალობლიშვილის და სხვების დავალებით.

ლიტოპონის ქარხნის მშენებლობის სტახანოველთა გამოსვლები გამსჭვალული იყო მწვავე და ღრმა სიძულვილით მტრებისადმი.

მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა მაუდის ფაბრიკაში, გუმბრონის კარიერებზე და სამკერვალო ფაბრიკაში. გაისმის ყველგან აღშფოთებისა და სიძულვილის ხმები ხალხის მტრებისადმი, რომლებსაც საშინლად სძაგთ მუშები და კოლმეურნენი. ქუთაისის მშრომელნი ერთსულოვნად მოითხოვენ ქუთაისის რაიონში მოქმედ საზიზღარი არამზადების ფიზიკურ მოსპობას. ქუთაისის მშრომელნი ერთხელ კიდევ სიტყვას აძლევენ პარტიას, მთავრობასა და დიდ ბელადს — ამხანაგ სტალინს, რომ დაუღალავად განამტკიცებენ საბჭოების ქვეყნის ძლიერებას, შეურიგებელი იქნებიან ხალხისა და პარტიის მტრების მიმართ, იმუშავებენ ისე, რომ იყვნენ დიდი სტალინის მზრუნველობისა და სტალინური კონსტიტუციის ღირსნი.

მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურ მავნებელთა ჯგუფის პროცესიდან გამოირკვა, რომ სიღნაღის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობაში, პარტიისა და ხელისუფლებისადმი კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილების დასანერგავად, განზრახ ტარდებოდა გლეხობის ზედმეტად დაბეგვრა, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადასახადების აკრეფის შესახებ არსებული კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და ადმინისტრატიული წესით სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების გავრცელებას.

რაიონის საფინანსო ორგანოების (რაიფინგანი, რაიშემნახველი სალარო) ხელმძღვანელებმა ხალხის მტრების ასეთი მავნებლური მოქმედება არ ამხილეს და არ მიიღეს ზომები მისი დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის. პირიქით, ამ მავნებლობას მათ ხელი დააფარეს, მიჩქმალეს და ამით ხელი შეუწყეს მავნებლებს უხეშად დაემახინჯებინათ საგადასახადო და სახელმწიფო კრედიტის პოლიტიკა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ს. ხოშტარიას ბრძანებით, სიღნაღის რაიფინგანის გამგე ალექსანდრე მიხეილის-ძე ნაკაიძე და რაიშემნახველი სალაროს გამგე ნიკოლოზ გიორგის-ძე ფურცელაძე მოხსნილი არიან სამსახურიდან პასუხისგებაში მიცემით.

ფინსახკომის მიერ მიღებულია გადამჭრელი ზომები რაიონის საფინანსო დარგში მავნებლური საქმიანობის შედეგთა სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

ხალხის მტრები სასამართლოს წინაშე

ბაქო, 26 აგვისტო (საქდეს). კონახკენდის რაიონის ასობით კოლმეურნეთა თანადასწრებით აზერბეიჯანის სსრ რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესია კონახკენდში არჩევს რაიონის ყოფილ ხელმძღვანელთა — ხალხის მტერთა პროცესს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ საკოლმეურნეო წყობილებას.

ბრალდებულთა სკამზე სხედან რაიკომის ყოფილი მდივანი ჯაფაროვი, რაიკომის მდივნის ყოფილი მოადგილე დაქტამიროვი, რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე საფარალიევი, რაიმიწგანის ყოფილი გამგე აბულგასუმოვი, რაიფინგანის ყოფილი გამგე სალახოვი. მათ წაყენებული აქვთ ბრალდება იმაში, რომ ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, რაც ისჯება 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით.

კონახკენდის შორეული მთიანი რაიონი რევოლუციამდე ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი რაიონი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს რაიონში აშენდა 43 სკოლა, საავადმყოფო, სამედიცინო პუნქტები. წინანდელი მთის ბილიკების ნაცვლად გაყვანილია გზატკეცილები, აგებულია ათობით ხიდები. მეცხოველეები შეძლებული კოლმეურნეები გახდნენ.

ბრალდებულთა სკამზე მჯდომი საზიზღარი ტროცკისტულ-მუსავატური ბანდა უტიფრად და ბოროტი განზრახვით არღვევდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, საბჭოთა კანონებს, იტაცებდა საკოლმეურნეო ქონებას, ეწეოდა ლოთობას, იღებდა ქრთამებს, ხოლო პარტიას და მთავრობას რაიონის მდგომარეობის შესახებ აძლევდა ყალბ, თვალისამხვევ ცნობებს. პოლიტიკურად გაზრდილმა კოლმეურნე მასებმა გამოამჟღავნეს ბოროტმოქმედნი. სამ დღეს გრძელდებოდა რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის საფარალიევის დაკითხვა, იგი თავს დამნაშავედ არ სცნობდა. მაგრამ ფაქტებითა და დოკუმენტებით მხილებული, იგი იძულებული გახდა ეღიარებინა ისიც, რასაც წინასწარი გამოძიების დროს მალავდა. საფარალიევმა უჩვენა, რომ ჯაფაროვი დაკავშირებული იყო ხალხის ამჟამად გამომჟღავნებულ მტრებთან — ნაციონალ-უკლონისტებთან, რომლებიც რაიონში სამუშაოდ ჰგზავნიდნენ მუსავატელებს.

ჯაფაროვი მათ ნიშნავდა დაწესებულებების, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებად და მათთან ერთად ატარებდა მავნებლურ აქტებს, რომლებიც მიმართული იყო საკოლმეურნეო წყობილების გახრწნისაკენ.

სახელმწიფო ბრალმდებელი, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ამხ. კაგრამანოვი ეკითხება საფარალიევს: ხედავდით თუ არა თქვენ ტროცკისტულ-მუსავატისტური „ჯგუფის" მავნებლურ მუშაობას?

საფარალიევი უპასუხებს: ვხედავდი მაგრამ არაფერს ვამბობდი იმიტომ, რომ ჯგუფის მეთაურის ჯაფაროვის მეშინოდა.

საფარალიევი უშედეგოდ ცდილობდა უარეყო თავისი პირადი მონაწილეობა ჯაფაროვის ბანდაში.

სასამართლო აქვეყნებს მთელ რიგ დოკუმენტებს. საფარალიევი და ჯაფაროვი სწერენ ერთერთი კოლმეურნეობის გამგეობას: „მიიღეთ კოლმეურნეობის წევრად ალიშან რუსტამ-ოღლი". კოლმეურნეთა პროტესტების მიუხედავად, საფარალიევმა და ჯაფაროვმა მიაღწიეს კულაკ ალიშანის მიღებას კოლმეურნეობაში. კიდევ მეტი, განკულაკებულ ქონებაში მას ადგილობრივი ბიუჯეტიდან აძლევენ 5 ათას მანეთს. როდესაც საფარალიევს თავისი სახლის ასაშენებლად ფიცრები დასჭირდა, მან უბრძანა 28 აპრილის სახელობის კოლმეურნეობას, დაერღვია თავლა. ასეთი მაგალითი ბევრი იყო. ბანდიტთა შაიკა ანიავებდა რაიაღმასკომის ბიუჯეტს. არარსებული ბაგების ხარჯებისათვის გამოიწერეს 16 ათასი მანეთი, რაც ქეიფში დახარჯეს. სამი სოფელი უკანონოდ დაბეგრეს 7 ათასი მანეთით. ეს ფული საფარალიევმა და ჯაფაროვმა მიითვისეს. ეს ყოფილი „ხელმძღვანელები" ფართოდ მიმართავდნენ ფულის უკანონოდ გადახდევინებას, მექრთამეობას.

ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

ვ. გოგეშვილი

პარტიაში მიღების შესახებ *)

უდავოა, რომ პარტიაში უფრო სწრაფად მიღების საქმეში დამაბრკოლებელ მომენტს წარმოადგენს ის საკითხი, რომ **ცალკე ამხანაგები ვერ პოულობენ რეკომენდატორებს.** ბევრ კომუნისტს ავიწყდება თითეული ბოლშევიკის ელემენტარული მოვალეობანი, რომ მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მასებთან, იცნობდეს და სწავლობდეს მის გვერდით მომუშავეებს, საუკეთესოებს, უფრო მოწინავეებს, საიმედოებს აძლევდეს რეკომენდაციას პარტიაში შესასვლელად.

ამის ნაცვლად პარტიის ზოგიერთი წევრი სხვადასხვა არასაქმიანი და არაპარტიული მოტივებით, „უპასუხისმგებლო შიშის" გამო ან „ლაჩრული თავდაზღვევის" („პრავდა") მიზნით უარს ამბობს რეკომენდაციების მიცემაზე, ხოლო პირველადი ორგანიზაციები და რაიკომები ამას გვერდს უვლიან. მაგალითად, კომუნისტები ტ. სვანიძე და მ. მაჩიტაძე (რკინიგზის საავადმყოფოს პარტორგანიზაცია) სრულიად უარს ამბობენ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციების მიცემაზე და ამას იმით ასაბუთებენ, რომ „როგორ შეიძლება ახლა კაცისთვის პასუხი აგო, ახლა მოთხოვნები ძალიან დიდი და მკაცრიაო". ამხ. სვანიძემ პირდაპირ განაცხადა: „ვერავის ვერ მივცემ რეკომენდაციას, რა ვიცი, შეიძლება კაცს კარგადაც ვიცნობდე, მაგრამ ხვალ გამოირკვეს, რომ ის მავნებელია, მტერია. სჯობს რეკომენდაციის მიცემისაგან თავი შევიკავო".

თბილპურეაჭრობაში (ლენინის რაიკომი) თვით პარტკომის მდივანმა ამხ. კობახიძემ განაცხადა: „ახლა რეკომენდაციების მიცემა ძნელია და ამიტომ ჩვენი კომუნისტები და მეც რეკომენდაციებს არ ვიძლევითო".

როდესაც თანამგრძნობმა ხაჩიკ გრიგორიანმა (№ 2 პურისსაცხობი — სტალინის რაიონი) რეკომენდაციისათვის მიმართა პარტიის წევრს აკოფიანს (ისინი კი 3 წელიწადზე მეტია ერთად მუშაობენ), უკანასკნელმა უპასუხა: „წადი დირექტორთან და თუ ის მოგცემს რეკომენდაციას, არც მე გეტყვი უარსო".

პარტიის წევრებმა ნ. ოსიპოვმა და ჩოგუნაშვილმა (სტალინის რაიონი) ამხ. ელისაბედ ზერეკიძეს მისცეს რეკომენდაცია, სადაც სწერენ, რომ ზერეკიძე კარგი საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაკია, ხოლო ბოლოს მიაწერეს, რომ ამხ. ზერეკიძეს „არა აქვს საკმაო სიფხიზლეო", რითაც, ჩანს, თავის დაზღვევა უნდოდათ.

კომუნისტთა ნაწილის ასეთ არაბოლშევიკურ შეხედულებებსა და მოქმედებებს ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, რისთვისაც უნდა გავშალოთ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

რამდენიმე სიტყვა კომკავშირის კომიტეტთა მუშაობის შესახებ რეკომენდატორების საკითხთან დაკავშირებით. საკ. კ. პ. (ბ) წესდებით კომკავშირის რაიკომის რეკომენდაცია გათანაბრებულია პარტიის ორი წევრის რეკომენდაციასთან. კომკავშირის რაიკომებისათვის მინიჭებული ეს უფლება პარტიაში კომკავშირელთა უფრო სწრაფად ჩაბმის მძლავრი საშუალებაა. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ კომკავშირის რაიკომები აფერხებენ ამ საქმეს.

პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციების მიცემის შესახებ საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის რაიკომებში კომკავშირელთა მიერ შეტანილი 528 განცხადებიდან განხილულია 371 და განუხილველია 157.

საქ. კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომში განუხილველად დევს 63 განცხადება, რომელთა შორის უმრავლესობა აქტიური და პარტიის რიგებში ყოფნის ღირსი კომკავშირელების განცხადებებია.

მაგალითად, **ნადეჟდა ბედიაშვილი** — **სასოფლო-სამეურნეო** ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაცია, კომკავშირის წევრი 1926 წლიდან, სწავლობს ასპირანტურაში, 1936 წლამდე მუშაობდა **საქ. კომკავშირის ონის რაიკომის პიონერთა განყოფილების გამგედ,** ხოლო შემდეგ პარტიის ონის რაიკომის ქალთა სექტორის გამგედ. ინსტიტუტში შესვლის დღიდან **ირიცხებოდა კომკავშირის კომიტეტის წევრად,** არის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი, კომკავშირში სასჯელი არ ჰქონია დადებული; მისი განცხადება რეკომენდაციის მიცემის შესახებ კომკავშირის რაიკომში დევს 1936 წლის 27 ნოემბრიდან.

ბიძინა **იაკობაშვილი** — კომკავშირის წევრი 1923 წლიდან, სატყეოტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელი კომკავშირული წრის პროპაგანდისტი, პროფპოლიტსკოლის სემინარის ხელმძღვანელი. მისი განცხადება განუხილველად დევს რაიკომში 1936 წლის 27 ნოემბრიდან.

კომკავშირის ლენინის რაიკომმა თავი დაანება რკინიგზის ტრანსპორტზე მომუშავე კომკავშირელთა პარტიაში ჩაბმის მხრივ მუშაობას, რკინიგზის ტრანსპორტის კომკავშირელებს უარს ეუბნება პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციების მიცემაზე და მათ განცხადებებს ჰგზავნის პოლიტგანყოფილებაში, მაშინ როდესაც, საკ. კ. პ. (ბ) წესდების თანახმად, პარტიის ორი წევრის რეკომენდაციას სცვლის კომკავშირის რაიკომის და არა პოლიტგანყოფილების რეკომენდაციები.

პარტიაში მიღების შეფერხების ერთერთი არსებითი მიზეზი, რომელიც ამხ. ბერიამ 1936 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმზე აღნიშნა, ინარჩუნებს სრულ ძალას ახლაც პარტიაში მიღების მხრივ ბევრი პარტორგანიზაციის მუშაობის შესაფასებლად. ც. კ-ის პლენუმზე ამხ. ბერია ამბობდა: „მიღების მხრივ შეფერხება ჩანს იმიტომაც ხდება, რომ რაიონული და საქალაქო კომიტეტები **სუსტად იცნობენ თავიანთ აქტივს, სუსტად იცნობენ** სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის **სტახანოველებსა და დამკვრელებს.** ვისაც უკეთ ეცოდინება თავისი აქტივი, ის უკეთ უზრუნველჰყოფს სწორ, უშეცდომო მიღებას პარტიაში" (ხაზი ჩვენია).

პარტიაში ახლად მიღებულთა შორის არიან წარმოების მოწინავეები, სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანები. ასეთებია, მაგალითად, დავით სეფერთელაძე — ტრამვაის სტახანოველი, დაჯილდოვებული „საპატიო ნიშნის" ორდენით, ე. სტრიგოცკაია — მაუდის ფაბრიკის სტახანოველი, დაჯილდოვებული „საპატიო ნიშნის" ორდენით, სერგი ჭელიძე — ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველი, საქართველოს სსრ ცაკის წევრი, ამასწინათ დაწინაურებული სამონტაჟო საამქროს უფროსად, რომლის ხელმძღვანელობითაც საამქრომ დაიწყო პროგრამის შესრულება, ქეთო ჭუმბურიძე, ტატიანა ხარშილაძე (აბრეშუმის-საქსოვი ფაბრიკა), ტ. თევდორაძე (ტყავის ქარხანა) და სხვ.

ასეთი ადამიანები, სოციალისტური მშენებლობის მოწინავეები, თბილისის საწარმოებში ათასობით არიან, ამასთან არიან არა მარტო მსხვილ საწარმოებში, არამედ ისეთებშიც, სადაც მუშათა რაოდენობა საშუალოა ან მცირე. მაგრამ პარტიაში მიღების მხრივ მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს საშუალო და წვრილ საწარმოებშიც.

ისეთ საწარმოებში, როგორიცაა ფანერის ქარხანა, რძის ქარხანა, სააღმშენებლო ქარხანა № 2, კუიბიშევის სახ. ქარხანა (სტალინის რაიონი) წესიერად არ განუმარტავთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილება პარტიაში მიღების განახლების შესახებ. სტახანოველებმა გორგოჯანიშვილმა და კოჩმაზოვმა (კუიბიშევის სახ. ქარხანა) საუბარში გამოსთქვეს პარტიაში შესვლის დიდი სურვილი, მაგრამ დასძინეს, რომ ეშინიათ პოლიტიკური კითხვებისა და ამიტომ არ შეაქვთ განცხადება და სხვ.

საკითხი პარტიაში მიღებულთა სოციალური და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ

თბილისის კომიტეტის მიერ მიღებული 150 კაციდან მუშაა 111, — 74 პროცენტი, — კარგი მაჩვენებელია, მაგრამ პარტიის რაიკომების მიერ მიღების ცნობათა ანალიზი (რაიკომების მიერ მიღებული 264 კაციდან მუშაა 155) გვიჩვენებს ამ პროცენტის შემცირებას (58,7%). ქ. თბილისში პარტიაში მიღებულთა შორის **მუშათა დიდი პროცენტის უზრუნველყოფას** დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თბილისის ორგანიზაციისათვის, არამედ საქართველოს მთელი კომ. პარტიისთვისაც (ბ), თუ მხედველობაში მივიღებთ ქ. თბილისის, როგორც რესპუბლიკის გადამწყვეტი მუშური ცენტრის, როლს და საქართველოს კომ. პარტიაში (ბ) თბილისის ორგანიზაციის ხვედრით წონას. ამ გარემოებას მთელ ჩვენს შემდგომ მუშაობაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამას, როგორც ჩანს, მხედველობაში არ იღებს ორჯონიკიძის რაიკომი, სადაც პარტიაში ახლად მიღებულთა შემადგენლობაში მუშებია მხოლოდ 35,1 პროც., ხოლო, მოსამსახურეები — 64,9 პროც. ლენინის რაიკომისთვისაც მიღებულ მუშათა პროცენტი (62,5) არასაკმარისია.

თბილისის კომიტეტმა კანდიდატებად მიიღო 32 ქალი (21,4 პროცენტი) რაიკომის მიერ მიღებულ 44 კაცის (16,7 პროცენტი) მიმართ, ე. ი. აქაც დაეტყო ერთგვარი შემცირება (შეფარდებითი) ქალების მიღების მხრივ. 26 კომისრის სახ. რაიკომს მიღების განახლებიდან დღემდე პარტიაში არ მიუღია არცერთი ქალი. ეს აიხსნება თბილისის მთელ რიგ საწარმოებში მუშა-ქალთა შორის პოლიტიკური მუშაობის სისუსტით, პარტიაში მათი ჩაბმისადმი არასაკმაო ყურადღებით, ჩვენი ცუდი მუშაობით ქალებიდან პარტიული, პროფესიული და საბჭოთა აქტივის გამოზრდის მხრივ. მსუბუქი ინდუსტრიის თბილისის საწარმოებში, სადაც მომუშავეთა უდიდეს უმრავლესობას ქალები შეადგენენ, სამეურნეო, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შორის უკანასკნელ დრომდე ქალები თითქმის არ ყოფილან. საჭირო გახდა ამხ. ბერიას სპეციალური მითითება, რომ რაიკომებს ხელი მოეკიდნათ ქალთა დაწინაურების საქმისათვის. ჯერჯერობით პირველი ნაბიჯი გადასდგა კიროვის რაიკომმა, რომელმაც საქტრიკოტაჟის, მკერავ № 6-ის, „მკერავთა კომუნის" და მთელ რიგ სხვა საწარმოების პარტკომების მდივნებად დაამტკიცა აქტივისტი კომუნისტი ქალები. ამ საქმეს აშკარად აყოვნებს პარტიის სტალინის რაიკომი. გარდა ამისა, ზოგიერთ საწარმოებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, მიღებულთა შორის მამაკაცები უფრო მეტია. მაგალითად, მაუდის ფაბრიკაში 1065 მუშა-მოსამსახურიდან ქალებია 706 (ე. ი. თითქმის 70 პროცენტი), კანდიდატებად 9 კაციდან მიღებულია მხოლოდ 4 ქალი; მკერავ № 2-ში (კიროვის რაიკომი) 1154 მუშა-მოსამსახურიდან ქალებია 756 (55 პროცენტი). 9 კაციდან მიღებულია მხოლოდ 3 ქალი და სხვ.

თბილისის კომიტეტის მიერ პარტიის კანდიდატებად მიღებული 150 კაცის **ნაციონალური შემადგენლობა** ასეთია: ქართველი — 80 (53,3 პროც.), სომეხი — 54 (36 პროც.), რუსი — 13 (8,7 პროც.), სხვა ეროვნებისა — 3 (2 პროც.). რაიკომების მიერ კანდიდატებად მიღებული 264 კაციდან ქართველია 144 (54,5 პროც.) სომეხი — 82 (31 პროც.), რუსი — 26 (9,8 პროც.), სხვა ეროვნებისა — 12 (4,7 პროც.).

როგორ არის საქმე პარტიის რიგების შესავსები რეზერვების მხრივ.

თანამგრძნობთა ჯგუფები წარმოადგენენ **„უმნიშვნელოვანეს რეზერვს საკ. კ. პ. (ბ) რიგების შესავსებად"** (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილებიდან — 1935 წ. დეკემბერი). მაგრამ თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობას ბევრ პარტორგანიზაციაში სრულიად არა საკმაო ყურადღება ეთმობა.

1936 წ. 1 ნოემბრიდან 1937 წ. 1 აგვისტომდე თანამგრძნობთა ჯგუფების ზრდა სრულიად არასაკმარისია. თბილისში თანამგრძნობთა ჯგუფებში ირიცხებოდა 2934 კაცი, ამჟამად ირიცხება 2995, — ე. ი. ზრდა 61 კაცით. ფაქტიურად ამ 9 თვის განმავლობაში მიღებულია გაცილებით მეტი — 556 კაცი. თანამგრძნობთა ნაწილი უკვე მიღებულია პარტიის კანდიდატებად (116 კაცი). მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს თანამგრძნობთა ჯგუფების დიდ დენადობას. ქალაქიდან წასვლის (მოსწავლეები), გარიცხვის, აგრეთვე ჩამოშორებისა და თანამგრძნობთა ჯგუფებიდან მექანიკურად გასვლის (განსაკუთრებით სავაჭრო დაწესებულებების პარტორგანიზაციებთან) მიზეზით ბევრ პარტორგანიზაციაში თანამგრძნობთა ჯგუფები სტაბილიზებულია, არ იზრდებიან.

მაგალითად, სტალინის რაიონში თანამგრძნობთა ჯგუფებში მაისში მიღებულია მხოლოდ 3 კაცი, ივნისში — 12. მთელ რიგ საწარმოთა პარტორგანიზაციებთან მოწყობილი არ არის თანამგრძნობთა ჯგუფები (საკონდიტრო ფაბრიკა, სამკერვალო კომბინატი, ლიმონათის ქარხანა და სხვ. — სტალინის რაიონი).

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ, რადგან განახლდა პარტიაში მიღება, შეიძლება თავი დავანებოთ თანამგრძნობთა ჯგუფებთან მუშაობას. მათ ავიწყდებათ, რომ პარტიაში მიღება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თანამგრძნობებთან მუშაობის გაუმჯობესებაზე, მათი რიგების შევსებაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში თანამგრძნობთა ჩაბმაზე. თანამგრძნობები უნდა ჩავაბათ პრაქტიკულ მუშაობაში, პირველადმა პარტორგანიზაციებმა უნდა მისცენ ხოლმე მათ ისეთი დავალებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ იდეურ-პოლიტიკურ ზრდასა და ბოლშევიკურად გამოწრთობას.

ზოგან დაივიწყეს აგრეთვე უპარტიო აქტივი, სიტყვა „უპარტიო აქტივის" წარმოთქმასაც კი ერიდებიან, ფიქრობენ, რომ თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობის შემდეგ უპარტიო აქტივთან მთელი მუშაობა აშ ჯგუფებშია გადატანილი. ეს არსებითად არ არის სწორი, ხოლო პარტიაში მიღების საქმისათვის აშკარად საზიანოა. საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი უპარტიო აქტივთან მუშაობას, დავუახლოვოთ პარტიას საუკეთესო და მოწინავე ადამიანები, ჩავაბათ ისინი თანამგრძნობთა ჯგუფებში.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" №195.

ალპინიადა თეთნულდზე

ალპინიადა დამთავრდა. თეთნულდი დაპყრობილია

(25 აგვისტო, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

დღეს თეთნულდის თოვლიანი მთების ხერხემალზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა 55 ფეხმაგარი სვანის სილუეტი.

აღმოსავლეთიდან შავი ღრუბლები აშლილიყვნენ დაჯაბნებული თეთნულდის საშველად.

კვლავ მრისხანედ ჰქროდა ხუსხიანი ქარი. გაკაპასებულ თოვლის ქარბუქსაც კორიანტელის მანტია წამოეხურა თეთნულდისათვის და მთამსვლელებს უკანასკნელ ბრძოლას უცხადებდა.

თეთნულდის მოიერიშე სვანებმა გული მაინც არ გაიტეხეს.

საკავშირო ალპინიზმის ოსტატმა, ალპინიადის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა სანდრო გვალიამ ღამის 3 საათზე მოიერიშე ბანაკში მძინარე ვაჟკაცებს ასაშლელი ნიშანი მისცა. ნიშანზე მოიერიშენი კარვებიდან გამოიშალნენ, წრიაპები აისხეს, წერაყინებს დაეყრდნენ და ხუთხუთად თოკებით საიმედოდ გადაბმულებმა თეთნულდს ხელთათმანი გადაუგდეს და დუელში გამოიწვიეს.

46 კაცი ავიდა 23 აგვისტოს კოპწია, მაგრამ მზაკვარ თეთნულდზე.

კავკასიონის ქედის პატარძალს თავზე ჯერ არ შეშრობოდა ცრემლი, რომ 25 აგვისტოს კვლავ 55 ახირებული სტუმარი ეწვია.

ახალი სვანეთის ახალმა ხალხმა, საქართველოს ალპინიზმის საიმედო ავანგარდმა, თეთნულდზე ფეხი შესდგა, თოვლის ფიფქებქვეშ დამალულ „ავსულებს" დაუარა და სადღაც შორს გადარეკა. მესტიელ და უშგულელ მონადირეებს ახლა აღარ აშინებს ხან მზის სხივებზე მოკიაფე [illegible]ში გახვეული თეთნულდის მიუკარებელი წვერი.

უფრო მეტიც, სვანები ისე გაკადნიერდნენ, რომ „თეთნულდი ძირს" სიმღერას არ დასჯერდნენ და ამაყ პატარძლის ჩიხტიკოპზე ფერხულიც დაუარეს.

დამთავრდა ზემო-სვანეთის ალპინიადა.

თეთნულდზე გამარჯვებულნი თვიხბაშარის ბანაკში დაბრუნდნენ და სახელდახელო მიტინგი გამართეს.

აღფრთოვანებით ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებული სვანები. აღფრთოვანებული ეხვეოდნენ ბრძოლიდან დაბრუნებულ სვანებს ჩაიკომის მდივანი ა. წიფურია, ს. გვალია, ჩაიაღმასკომის თავმჯდომარე გაზდელიანი და შორი სოფლებიდან შესახვედრად ჩამოსული სვანი ცხენოსნები.

ალპინიადის შტაბის უფროსმა ალიოშა წიფურიამ სიტყვით მიმართა სვან ალპინისტებს და თან გააფრთხილა, რომ თეთნულდზე გამარჯვებით თავბრუ არავის დაეხვევა.

— ჩვენი გამარჯვება შედეგია ორგანიზებულობისა, კოლექტიური ბოლშევიკური ნებისყოფისა და ალპინიზმის ტექნიკის ღრმა ცოდნისა: ურომლისოდაც თეთნულდზე ასვლის ყოველი ცდა მარცხით დამთავრდებოდა, — გაათავა თავისი სიტყვა წიფურიამ.

შემდეგ ვილაცამ თვითმფრინავით ჩამოტანილი „კომუნისტის" წინადღის ნომრები დაარიგა ხალხში.

სვანები ძალზე გახარებული დარჩნენ, რომ მოძმე მოხევეებს მათთვის პიუბაძავთ და მყინვარწვერზე ლაშქრობა განუზრახავთ.

ალპინიადის შედეგები ასეთია: ორასი მსურველი სვანიდან საიერიშოდ გამოცხადდა 189 კაცი. აქედან 6 საექიმო კომისიამ არ დაუშვა, ერთმა მწვერვალს ვერ მიაღწია. ალპინიადის შტაბის უკანასკნელ სხდომაზე, 13 აგვისტოს, მიღებულ იყო გადაწყვეტილება, რათა თეთნულდის წვერზე 150 კაცი აეყვანათ. ეს გადაწყვეტილება გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ასეთ ძნელ მწვერვალზე ამდენი ხალხის ასვლა პირველი შემთხვევაა საბჭოთა კავშირში. იგი სათავეს უდებს მასობრივი ალპინიზმის განვითარებას სვანეთსა და მთელ საქართველოში.

დღეს 4 საათზე დავტოვებთ თეთნულდის კალთებს და ცხენების ქარავნებით დავიძვრით მესტიისაკენ.

28 აგვისტოს მესტიაში გაიხსნება ზემო-სვანეთის მთამსვლელთა რაიონული პირველი შეკრება. სვანები აარსებენ ალპიური კლუბის ფილიალს.

ო. ეგაძე.

◆ ◆

პატარა ფელეტონი

ლაყე კვერცხებისა და ფშუტე თავის შესახებ!

— უჰ, ახდრო, იცი წუხელ რა სიზმარი ვნახე! აი ის ჯაჭვედა დედალი რომ გვყავს, სდებდა და სდებდა კვერცხებს განუწყვეტლივ. აივსო ბუდე, აივსო კალათი, აივსო გოდორი, ოთახი, ეზო. ველარაფერში დავტიეთ კვერცხები. დედალი იჯდა ბუდეში, სდებდა და სდებდა დაუსრულებლივ.

— აჰაჰ!! იგონებ; მაგისთანა სიზმარი როგორ შეიძლება?

— შე სულელო, სიზმარი რისი სიზმარია. აბა ერთი კვერცხი რომ დაედვა, მაგი რა დასასიზმრებელია!

— აბა შეც კი ვნახე სიზმარი.

— შენ რაღა ნახე?

— შენი დედალი რომ კვერცხებსა ხდებდა, სულყველა ლაყე იყო.

— ლაყე. ჰაჰა! ლაყე შენა ხარ თვითონ.

— ლაყეც ხარ და ბრიყვიც. რათ მაყენებ შეურაცყოფას?

— გეხუმრე!

— ხუმრობას თავი დავანებოთ. აგერ სასწავლო წელი მოახლოვდა. რამდენიმე დღე-ღა დარჩა. რას ფიქრობ?

— იმას, რასაც შენ.

— წერითი სამუშაო ჩაითვალოს გაუქმებულად, — დავადგინოთ ასე და...

— მოიცა; მოიცა... შენ კარგი აზრი დამიბადე. მოდი ერთი მოვიწვიოთ სოფელ წყალწმინდის*) სკოლის ურვეული მოწაფეების კრება. შენ გააკეთე მოხსენება საკითხზე: „კვერცხი და მისი მნიშვნელობა წერითი ვარჯიშობისათვის".

— მერე?

— მერე შე შემოვიტან რეზოლუციას: ვინაიდან ს. წყალწმინდის კოოპერატივის გამგე ბოლქვაძე რვეულს არ ჰყიდის, თუ თითო რვეულზე თითო კვერცხი არ მივუტანეთ, და ვინაიდან ჩვენი ქათმები კვერცხის დებას არ უკავშირებენ სასწავლო გეგმას, ამიტომ... ამიტომ...

— ამიტომ რა?

— ...1937 წლის საზაფხულო დავალებები წერითი ვარჯიშობაში ჩაითვალოს შეუსრულებლად.

— მერე და ეს რა რეზოლუციაა — „ჩაითვალოს შეუსრულებლად". შეუსრულებლად ისედაც არის. შენ რამე პრაქტიკული ღონისძიება უნდა წამოაყენო.

— მაინც რა?

— მე რა ვიცი-რა?

— მიეცით ქათმებს მტკიცე დავალება კვერცხის დება ზუსტად დაუკავშირონ სასწავლო გეგმას.

— ოთარ, რამე კონკრეტული უნდა იყოს.

— მოკრუხება დედლებმა არ გაბედონ, სანამ ეს არ იქნება შეთანხმებული სკოლის გამგესთან.

—კარგია, მხოლოდ რაღაც აკლია.

— მაშ კარგი!.. დაევალოს ყოველ მოწაფეს განსაკუთრებული პატივისცემით მოეპყრას ქათამს, გადაიყვანოს ის გაძლიერებულ კვებაზე და თვალყური ადევნოს მის ყოველ შეკაკანებას, რათა არ დაიკარგოს ან უადგილო ადგილას არ იქნეს დადებული კვერცხი. კვერცხი კი, როგორც ასეთი, ჩაითვალოს სასწავლო ნივთად. ახლა ხომ არის პრაქტიკული?

— არა, ოთარ, რეზოლუციაში კონკრეტული ღონისძიება უნდა იყოს კოოპერატივის გამგის ბოლქვაძის მიმართ.

— მაშ კარგი... წინადადება მიეცეს ბოლქვაძეს ჩაატაროს აგიტ-მასობრივი მუშაობა საქათმეებში!

— მაგას არ იკისრებს.

— აბა... წინადადება მიეცეს ბოლქვაძეს თავი დაანებოს კვერცხების შერჩევას, რვეულის ფასად კვერცხი მიიღოს მიუხედავად იმისა, ვარიას იქნება იგი თუ დედლის...

— არაფერი არ გამოვა აქედან.

— მაშ რა გინდა!? მოდი შევიტანოთ რეზოლუციაში: მიღების დროს ბოლქვაძე ნუ გაანჯღრევს კვერცხებს.

— ეს რისთვის, ოთარ?

— ეს იმისათვის, რომ საშუალება გვექნება ზოგჯერ ლაყე კვერცხიც შევაპაროთ.

— კარგია!

— რა არის, ბიჭო, კარგი! — ჩაერია ლაპარაკში ზურიკო, რომელიც აქამდე მოშორებით იჯდა და გლობუსზე საბჭოთა კავშირის გმირების ჩკალოვის, გრომოვის და ლევანევსკის სტალინურ მარშრუტებს ერთმანეთს ადარებდა მანძილის ოდენობის მხრივ. — მე შემომაქვს წინადადება.

— აბა რა?

— შევაგროვოთ, რაც ლაყე კვერცხებია და...

— მერე?

— დავათქვლიფოთ ბოლქვაძეს ფშუტე თავზე!

— ოჰო! ეს ხომ ხელყოფა იქნება!?.

— აბა დანარჩენი ყველაფერი ლაყობაა და მეტი არაფერი.

და ზურიკომ თავისი მუქარა ხისრულეში, რომ არ მოიყვანოს, საჭიროდ ვთვლით კვერცხის მოყვარული ბოლქვაძე განვარიდოთ სოფელ წყალწმინდის კოოპერატივს და საერთოდ კოოპერაციას.

გერმან შუბიძე

---

*) ლანჩხუთის რაიონშია.

◆ ◆ ◆

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის" 25 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	დამზადებული სეზონის დაწყებიდან ტონობით	აგვისტოში დამზადებული ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროც-ბით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	836,6	197,6	80,8	68,9
ქობულეთი	3.990,9	1.098,4	75,9	59,8
სულ აჭარის ასსრ	4.827,5	1.296	76,5	61,1
გალი	1.170,9	314	79,1	70,6
ოჩემჩირე	571,1	144,2	75,5	60,5
სულ აფხაზეთის ასსრ	1.742	458,2	77,9	67,1
მახარაძე	4.741,2	1.337,6	76,4	62,8
ჩოხატაური	600,9	167,7	83,5	80,7
ლანჩხუთი	1.926,7	514,4	78,7	67,9
სამტრედია	97,2	18,3	81	68,1
წულუკიძე	299,5	81,1	88,3	96,3
ქუთაისი	42	10,5	105	105
ტყიბული	179,8	45,6	99,6	100,2
ცხაკაია	502,2	120,5	85,1	87,7
გეგეჭკორი	952,1	237,8	80,9	73,6
ზუგდიდი	1.905,8	511	75,9	63,5
წალენჯიხა	609,5	162	69,3	49,5
ჩხოროწყუ	478,9	109,2	84,8	82,6
ხობი	141,4	37,4	83,1	81,3
სულ	19.056,7	5.107,3	77,8	65
1936 წლის 25 აგვისტოს იყო	13.934,7	3.564,3	72,4	52,5

კურორტი „ფსირცხა" აფხაზეთში. ხედი ზღვაზე საცეკვაო მოედნიდან.
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ცხაკაიას რაიონული ეთნოგრაფიული გუნდი თბილისში

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს მოწვევით, 27 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა ცხაკაიას რაიონული ეთნოგრაფიული გუნდი ლოტბარ რ. შელეგიას ხელმძღვანელობით, რომელმაც ამიერკავკასიის ოლიმპიადაზე პირველობა მიიღო. საკავშირო რადიოფესტივალზე გუნდის გამოსვლა შეფასებულ იქნა ფრიადზე, საკავშირო ოლიმპიადაზე გუნდი დააჯილდოვეს სიგელით და ფულით.

გუნდი გამოვა თბილისის ესტრადებზე, მუშათა კლუბებში. თბილისში გუნდი დარჩება სექტემბრის პირველ რიცხვებამდე.

გუნდის პროგრამაში შედის დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები: მეგრული, სვანური, აფხაზური, გურული, ფერხული, ხორუმი და გუნდური ცეკვები. გუნდთან ერთად ჩამოსულია მასთან არსებული მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელიც 17 ქალისაგან შესდგება.

გუნდი 27-28-29 აგვისტოს გამართავს კონცერტს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, შემდეგ—საქფილეგთის ბაღში. 28-29 აგვისტოს საღამოს გუნდი გამოვა რადიოსტუდიაში.

თბილისიდან გამგზავრების შემდეგ გუნდი გამართავს კონცერტებს ბათუმსა, ჭიათურასა, ხონსა, ქუთაისსა, სამტრედიასა და ფოთში.

გრ. გეგენავა.

საქართველოს მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთარგმნელთა სექცია დიდ მუშაობას ეწევა, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის მოამზადოს გამოცემა „აფხაზეთის საბჭოთა ლიტერატურის ანთოლოგიისა", რომელშიაც შევლენ დ. გულიას, ს. ჭანბას, ლ. კვიცინიას, ლ. ლაბახუას, შინკუბას და სხვათა ნაწარმოებნი.

დაწყებულია აგრეთვე შესწავლა: ა. ს. პუშკინის ნაწარმოებთა ქართული თარგმანებისა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სახელგამის მიერ გამოცემულ ორტომეულში, „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანებისა, რომლებიც რუსულ ენაზე არსებობენ, აგრეთვე აკაკი წერეთლის ლექსებისა და პოემების წიგნისა, რომელიც სახელმწიფო ლიტერატურულმა გამომცემლობამ გამოსცა მოსკოვში.

განხილულ იქნება აგრეთვე ი. ქავჟარაძის ახალი თარგმანი ფრანგი მწერლის ჟიონის რომანისა „დიდი ჯოგი".

ამ შემოდგომაზე თბილისში ჩატარდება სომხური პოეზიის დეკადა. სექციის წევრები ამზადებენ თანამედროვე სომეხ პოეტთა თარგმანებს ქართულ ენაზე.

„სოვეტსკი პისატელის" გამოცემით და ი. ტინიანოვის რედაქტორობით გამოვა წიგნი „ქართველი რომანტიკოსები". გამოცემამდე მასალა გულმოდგინედ იქნება გარჩეული.

◆

რუსთაველის სახელობის ესკადრილია

ავიაციის დღეს, 18 აგვისტოს, ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა თავის საერთო კრებაზე მიიღო დადგენილება აგოს თვითმფრინავი „ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი".

ამასთან კოლექტივმა დააყენა აღძრას საკითხი რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის წინაშე შოთა რუსთაველის სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის აგების შესახებ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში	
ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-40	ახალი ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე **დაკარგული სამოთხე** რეჟისორი — დ. რონდელი სცენარი გ. მდივანისა, ოპერატორი ბ. ჟურავლიოვი საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	
26 სახელობის საზამთ. 6-30, საზაფხ. 9	საზამთრო შენობაში ხმოვანი ფილმი **ღამის მძლეველნი** საზაფხ. შენ. ხმოვ. ფილმი **დუბროვსკი**
დამკვრელი საზამთრო 6-30. საზაფხ. 8-30, 10-30	საზამთრო და საზაფხ. შენობ. ახალი დიდი ხმოვ. ფილმი **შორეულ აღმოსავლეთში**
კომკავშირელი საზამთრო 6-30 საზაფხულო 8-30	ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი **გავროში**
კომინტერნი 8-30, 10-30	ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი **ანტეკ პოლიცმეისტერი**
ახალი ამბები 6-30	მაყურებლების საყვარელი ხმოვ. ჟურნ. №№ 34, 35

საქ. წ/ჯერის კადრების მომზადების განყოფილება

აცხადებს, რომ თბილისის ორწლიან მედიცინის დათა სკოლაში სწარმოებს მსმენელთა მიღება 1937—38 სასწავლო წლისათვის.

სკოლაში მიიღებიან ახალგაზრდები 18—30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (7 კლასი).

მიღება იწარმოებს გამოცდებით არასრული საშუალო სკოლის (7 კლასის) პროგრამის მოცულობით. ქართულ და რუსულ ენებში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, საზმეცნიერებასა და გეოგრაფიაში.

განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილ იქნას: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მეცადინეობა იწარმოებს მსმენელთა წარმოებიდან მოწყვეტით დღის საათებში.

კურსდამთავრებულთ მიენიჭებათ მედიცინის დის სახელწოდება საშუალო სამედიცინო განათლებით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1—5 სექტემბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან.

საბუთების მიღება სწარმოებს ყოველდღე საღამოს 6—9 საათამდე, სკოლის შენობაში - კამოს ქ. № 54.

საქ. წ/ჯ. კადრების მომზ. განყოფილება.

1707

პირადობის მოწმობა № 37, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. ვ. ტ. ცაგურიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

„შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის" გამოფენისათვის

საქართველოს მწერალთა მუზეუმმა იმ გამოფენაზე მოსათავსებლად, რომელიც საქართველოს მუზეუმის შენობაში შოთა რუსთაველის იუბილესათვის ეწყობა, გადასცა პოეტის უკვდავ ნაწარმოებთან — „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული მთელი რიგი მასალები.

მასალებს შორის არის პირველი ნაბეჭდი, ვახტანგისეული გამოცემის „ვეფხის-ტყაოსნის" (1712 წელი) კარგად შენახული ეგზემპლარი პორტრეტით, ხატულობით და ვინიეტებით; პოემა, გამოცემული პეტერბურგში (1841 წ.) აკადემიკოს მ. ბროსეს, პროფ. დ. ჩუბინაშვილის და ზ. ფალავანდიშვილის რედაქტორობით; პოემის ნაწყვეტთა პირველი სომხური თარგმანები, რომლებიც 1861 წელს ჟურნალ „კრუნკში" დაიბეჭდა.

ამას გარდა, გამოფენისათვის გადაეცა მარჯორი უორდროპის თარგმანის ეგზემპლარები ინგლისურ ენაზე, არტურ ლაისტის გერმანულ ენაზე და ელისაბედ ორბელიანისა—ფრანგულ ენაზე, აგრეთვე თანამედროვე თარგმანი სომხურ ენაზე.

გამოფენისათვის გადაცემულია ცალკეული ბროშურები, რომლებიც შეეხებიან პოემასა და მის გენიალურ ავტორს, ჟურნალები, მთარგმნელთა პორტრეტები, აგრეთვე რუსთაველის მკვლევართა—აკადემიკოს ნ. ი. მარის, ქართველი მწერლების: ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ა. სარაჯიშვილის, ი. ქყონიას და სხვათა ნაშრომები, რომლებიც შეეხება შოთა რუსთაველის პიროვნებას და ნაწარმოებს.

ეთნოგრაფთა კადრების მომზადება

ლენინგრადი (საკ. კორ.). ისტორიის, ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ლენინგრადის ინსტიტუტთან დაარსებულია ახალი ეთნოგრაფიული განყოფილება.

ამ განყოფილების მოწყობის იდეა წამოყენებული იყო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მიერ, რასაც მხარი დაუჭირა აკადემიის პრეზიდიუმმა.

ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ი. ი. მეშჩანინოვმა თქვენს კორესპონდენტს აცნობა შემდეგი:

— საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის შესწავლისათვის ეთნოგრაფიული განყოფილების მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ განყოფილების თვითეულმა სტუდენტმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს იმ ხალხის ენა, რომლის ეთნოგრაფიის შესწავლასაც ხელს მოჰკიდებს. ასეთი სერიოზული მომზადება პირველად ეწყობა. იგი უზრუნველჰყოფს ეთნოგრაფის მიერ ცნობების მიღებას უშუალოდ და არა თარჯიმანის მეშვეობით. წელს განყოფილებას სამი ციკლი ექნება — თურქული, ფინური და ჩრდილოეთის ხალხებისა. შემდეგში განზრახულია ქართული, სომხური და დაღესტნის ხალხთა ციკლების დაარსება.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ცენტრალური მუზეუმებისა და სამეცნიერო ინსტიტუტებისათვის. ჩვენი ინსტიტუტი კერძოდ ამ დარგის ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების დიდ საჭიროებას განიცდის. აქამდე, სათანადო სასწავლებლის უქონლობის გამო, ამ კადრების მოსვლას ჩვენს ინსტიტუტში შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ახლა კი ჩვენ გვექნება ბაზა უაღრესად საჭირო კადრების მისაღებად.

◆

სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში განცხადებათა მიღება გრძელდება

მიუღებლიდან კვლავ მოდის შეკითხვები, შეიძლება თუ არა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში შესვლა. ამასთან დაკავშირებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველომ 15 სექტემბრამდე გააგრძელა სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში განცხადებათა მიღების ვადა. (საქდესი).

◆ ◆ ◆

ქართული ჭიდაობა

მორიგი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე ჩატარდა 20 აგვისტოს ქ. ხაშურში. ერთმანეთს შეხვდნენ ხაშურისა და კასპის გუნდები.

ალსანიშნავია, რომ ხაშურის გუნდი მეტად არაორგანიზებულად შეხვდა ამ შეჯიბრებას და კასპის გუნდისაგან სასტიკი დამარცხება განიცადა. ხუთი წყვილიდან ოთხი კასპის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

○

7 აგვისტოს შეჯიბრება გაიმართა ლაგოდეხის ფიზკულტურის მოედანზე. ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ საგარეჯოსა და ლაგოდეხის მოჭიდავეთა გუნდები.

ჭიდაობა დამთავრდა საგარეჯოს გამარჯვებით (5:2).

ახალი ამბები

● **საქართველოს საბინაო კოოპერაცია** წელს თბილისში აშენებს 15 ახალ საცხოვრებელ სახლს. ამ სახლების უმრავლესობა საექსპლოატაციოდ გადაეცემა წელსვე.

● **ფოთის** ჯანმრთელობის განყოფილებამ შეიძინა ავტობუსის მსგავსი კარეტა სასწრაფო დახმარებისათვის. კარეტა მომსახურებას უწევს ქალაქს და მახლობელ სოფლებს.

● **თუშეთის** ექსპედიციამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო უნივერსიტეტის 5 სტუდენტი, დონოს მთის მწვერვალზე აღმოაჩინა გერმანელი მკვლევარის გოტფრიდ მერცბახერის ბარათები, რომლებიც მან დასტოვა 1892 წელს.

● **ხელოვნების საქმეთა სამმართველო** აწყობს ბავშვთა საგუნდო კაპელას 100 ბავშვის შემადგენლობით და მეჩონგურეთა საბავშვო ანსამბლს 50 ბავშვის შემადგენლობით.

● **25 აგვისტოს** დაიწყო საკოლმეურნეო ფეხბურთის გუნდების შეჯიბრი საკავშირო პირველობაზე. საქართველოდან შეჯიბრში მონაწილეობს ლუქსემბურგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი.

მძარცველთა ბანდის ლიკვიდაცია

1937 წ. 3 თებერვალს, საღამოს, №143 პურის წერტილში [illegible] რამდენიმე მძარცველი [illegible] მოქ. ვ. ს. გიორგობიანს წაართვეს 1500 მანეთზე მეტი სახაზინო ფული. იმავე საღამოს შეიპყრეს ერთ-ერთი მძარცველთაგანი. ის აღმოჩნდა ქურდი - რეციდივისტი ტ. ზ. შალვაშვილი, სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმრობიდან ახალი განთავისუფლებული.

იმავე წლის იანვარში რამდენიმე მძარცველმა გაძარცვა მოქ. ტ. ს. სვანიძისა და დ. ი. ჯაფარიძის (მალაკნის ქ. № 35) ბინები, საიდანაც წაიღეს 35 ათასი მანეთის სხვადასხვა საოჯახო ნივთი.

კოლმეურნეთა მთელი რიგი შეიარაღებული ძარცვა-გლეჯა ჩადენილ იქნა აგრეთვე გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში. ამ რაიონებში გაძარცვეს გლეხები ქ. ოდიკაძე (ჯუღელის რაიონი), გ. ჯაჯანაშვილი (გურჯაანის რაიონი), ს. გამრეკელიძე (ჭიათურის რაიონის მცხ.), დ. კოპიაშვილი (გურჯაანის რ.), და სხვ., რომლებსაც მძარცველებმა ბევრი ფული და ნივთი წაართვეს.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ყველა ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია მძარცველთა ერთი და იმავე ბანდის მიერ, რომელსაც 1936 წელს საპატიმროდან გაქცეული, ცნობილი ბანდიტი გ. დ. ნაცვლიშვილი მეთაურობდა. მას მისჯილი ჰქონდა 5 წლით პატიმრობა შეიარაღებული ძარცვა-გლეჯისათვის.

ა. წ. 18 აპრილს, ღამის 12 საათზე თბილმრეწვავაჭრობის №160 მაღაზიის შეიარაღებული გაძარცვის ცდის დროს მილიციის მიერ ბოროტმოქმედების ადგილზე შეპყრობილ იქნა 4 მძარცველი, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდათ. ერთ-ერთი დაპატიმრებულთაგანი, რომელმაც წიკლაურის გვარი დაირქვა, შემოწმების დროს ბანდის მეთაური ცნობილი გ. დ. ნაცვლიშვილი აღმოჩნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მილიციის ორგანოებმა სხვადასხვა დროს შეიპყრეს ბანდის დანარჩენი წევრებიც. ნაცვლიშვილის ბანდაში შედიოდნენ: ტ. ზ. შალვაშვილი, ვ. ი. ბოლორწიშვილი, ე. ი. კერესელიძე, გ. ა. აფციაური, ზ. დ. გილაური, შ. ნ. ნაცვლიშვილი, ი. ი. დარბაისელი, ვ. ა. ჩუნაშვილი და სხვ. სულ 13 კაცი. ბანდიტებს ჩამოერთვათ სხვადასხვა ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღი.

ამასთან დადასტურდა ისიც, რომ ბანდიტებს ხელს უწყობდნენ და ჰფარავდნენ ნატალია ტალიკაშვილი (იგივე ბერიძიშვილი), თამარ შუბაშვილი (იგივე დელიბაშვილი), შუშანა მომცემლიძე და ნინა შალვაშვილი. მათ ბინებზე აღმოაჩინეს სვანიძისა და ჯაფარიძის ბინებიდან წაღებული ნივთები.

მთელი ბანდა დაპატიმრებულია. ამ საქმეზე გამოძიება დამთავრებულია.

◆

ქრონიკა

29 აგვისტოს შლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

◆

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

28 აგვისტოს, საღ. 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში კომკავშირული აქტივისათვის შესდგება ამხ. ბლიაუს მოხსენება თემაზე: ახალგაზრდობის XXIII საერთაშორისო დღე.

28 აგვისტოს.

ალ-კკ კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე:

1) კაპიტალისტურ ქვეყნებში ტროცკისტ პროვოკატორებისა და ბანდიტების ზოგიერთი რეზერვების შესახებ. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. მურაჩაშვილი. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

2) საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ქართულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ მიტროფანე სპირიდონის-ძე მირცხულავას სახელზე ხობის რაიკომის მიერ გაცემული პარტბილეთი № 1526966 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

იგივე რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531387, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ლენრაიკომის მიერ ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე თედეევის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს ჯ. ს. კ. მთ. სააფთიაქო სამმართველოს დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	დასახელება ანგარიშების ჯგუფებისა	ნაშთი 1937 წლ. 1 იანვრისათ.
	ა) სახსრები ბრუნვაში	
1	შესყიდვა და დამზადება სასაქ. სამას. ღირებ.	14,5
2	ნედლეული და მასალები	1568,8
3	საქონელი და მზა-ნაწარმი	15.726,8
4	ფულადი სახსრები	898,5
5	გაანგარიშებანი	1387,6
6	დაუმთავრებელი წარმოება	74,1
7	ხარჯები მომავალი პერიოდის	290,1
	სულ სახსრები ბრუნვაში	19.960,4
	ბ) გაბნეულ სახსრები	
8	ფინსახკომ. დაგროვების ანარიცხებით	605,9
9	ანაბარები და სესხები	408,4
10	ფასიანი ქაღალდები	2,7
	სულ განფ. სახსრები	1017,0
	გ) ძირითადი სახსრები	
11	ქონება ექსპლოატაციაში	2198,9
12	„ ექსპლოატაციის გარეშე	40,4
13	კაპიტალური დაბანდებანი	447,1
	სულ ძირითადი სახსრები	2686,4
	ბ ა ლ ა ნ ს ი	23663,8
	ქონება ამორტიზებული და მისი გაცვეთა	465,1

პასივი

№№ რიგ.	დასახელება ანგარიშების ჯგუფებისა	ნაშთი 1937 წლ. 1 იანვრ.
	ა) საკუთარი სახსრები	
1	ფონდები	12.216,1
2	რეზერვები	4581,5
	სულ საკუთარი სახსრები	16.797,6
	ბ) მოზიდული სახსრები	
3	კრედიტები და სესხები მოკლევადიანი	1974,7
4	გაანგარიშებანი	2933,7
	სულ მოზიდული სახსრები	4908,4
	გ) შ ე დ ე გ ე ბ ი	
5	დაგროვება საანგარიშო წლისა	1957,8
	ბ ა ლ ა ნ ს ი	23.663,8
		465,1

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

დანაკარგები

№№ რიგ.	დასახელება მუხლების	ჯ ა მ ი
1	დანაკარგები რეალიზაციიდან	13.573,1
2	დანაკ. უიმედო ვალების ჩამოწერით	304,4
3	სტიქიური შემთხვევებით	22,0
4	ანარიცხები სადავო ვალების რეზერვის შექმნით	107,4
5	დანაკარგები წ/წლის ოპერაციებით	123,8
6	დანაკარგები სხვადასხვა	634,5
	სულ დანაკარგები	14765,2
	ნაშთი წმინდა დაგროვების	1957,7
	ბ ა ლ ა ნ ს ი	16722,9

დაგროვება

№№ რიგ.	დასახელება მუხლების	ჯ ა მ ი
1	დაგროვება რეალიზაციიდან	15808,8
2	„ ვადაგასული გადაუთხოვნელი კრედ. ჩამონაწ.	71,6
3	დაგროვება გამოუყენებელი რეზერვებით	420,6
4	დაგროვება გამოუყენებელი ფონდებით	118,1
5	„ წ/წლის ოპერაციებით	54,0
6	„ სხვადასხვა	249,8
	სულ დაგროვებანი	16722,9
	ბ ა ლ ა ნ ს ი	16722,9

ანგარიში დამტკიცებულია საქ. ფინსახკომის საბალანსო კომისიის მიერ, ოქმი № 15, 1937 წ. 26 აპრილი.
მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უფროსი ბ. ბერია. მთ. ბუღჰალტერი ბ. ახვლედიანი. 1156

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8297